ეროვნული
ბიბლიოთეკა

ივერია

ქართული ეროვნული პოლიტიკის ორგანო

პერიოდული გამოცემა

L'organe de la politique nationale Géorgienne

„IVERIA"

Directeur E. PATARIDZE. Rédacteur S. TCHIRAKADZÉ.

თებერვალი 1966 N° 12 FÉVRIER 1966

შინაარსი:

დაუვიწყარი ისტორიული ტრაგედია.
აკადემიკოსი არააკადემიურ როლში . . . . . შ. გალანდაძე
სოფლის მეურნეობის გამოუვალი კრიზისი . . . ს. ჭირაქაძე
ჩვენი დროის «სიბრძნე სიცრუისა» . . . . . მ. ქავთარაძე
ორი უგუნური გამოსვლა . . . . . ელ. პატარიძე
საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა . . . სვე. ჭირაქაძე
აგვისტოს აჯანყება (სიტყვა მ. ქავთარაძისა)
სამგლოვიარო ცნობები და სხვა.

საქართველოს ეროვნულ - დემოკრატიული პარტია.

LE PARTI NATIONAL.DEMOCRATE GÉORGIEN

პარიზი — PARIS

1966

გურამ ფარაძის
ბიბლიოთეკა

ივერია

ქართული ეროვნული პოლიტიკის ორგანო
პერიოდული გამოცემა

თებერვალი 1966 № 12 Février 1966

დაუვიწყარი ისტორიული ტრაღედია.

ორმოცდახუთი წელიწადი გვაშორებს, იმ ისტორიულ-ტრაღიკულ ეპოქას, როდესაც საბჭოთა რუსეთის უამრავი წითელი ჯარი, ქართველი კომუნისტების მეთაურების წინამძღოლობით, ომის გამოუცხადებლათ, თავს დაესხა საქართველოს; სამხედრო ძალათა უსწორო ბრძოლებში დაამარცხა ქართველობა; ზღვა სისხლში ჩაახრჩო ქართველი ერის თავისუფლება და სახელმწიფოს სუვერენობა, ქართველი ერი კვლავ დაუმორჩილა რუსეთს, რომელმაც საქართველოს ტერიტორიის ანექსია მოახდინა. საბჭოთა რუსეთის მთავრობამ მათ წინაშე «დამსახურებული» და საკუთარი ქვეყნისა და ერის მიმართ ღალატის ჩამდენი და დამნაშავე—ქართველ კომუნისტთა მეთაურებისაგან შემდგარი მთავრობა დააყენა, და ქვეყნისა და ხალხის საბოლოოთ დასამორჩილებლათა და დასაპყრობათ რუსის ჯარების დიდი ნაწილიც დაუტოვა, როგორც ამ «ნამესტნიკი მთავრობის» მიერ «ნაშვილები», იმ დიდი «დამსახურებისათვის», რომელიც მათ ქართველი ერის წინაშე მიუძღოდათ!..

საბჭოთა რუსეთის მეთაურების მიერ ჩადენილ ამ ვერაგულსა და კრიმინალურ აქტს—თავისუფალი ერისა და სუვერენული სახელმწიფოს, უხეში სამხედრო ძალით დაპყრობას,—ქართველმა ხალხმა პირველი ორი ათეული წლის მანძილზე, რამოდენიმე აჯანყებით უპასუხა. რომელნიც ზღვა სისხლში ჩაახრჩო საბჭოთა საქართველოს «მთავრობის» მიერ «ნაშვილებმა» რუსის წითელმა ჯარებმა.

თავისუფალი ერისა და სუვერენულ სახელმწიფოს უხეში ძალით დაპყრობასა და გაუქმებას არ შერიგებია და არ დაუდასტურებია კულტურულ კაცობრიობის იმ დიდსა თუ პატარა სახელმწიფოების მთავრობებსა და ოფიციალურ წრე-

ებს, რომელთა მიერ თავის დროზე ნაცნობი იყო ფაქტიურად და იურიდიულად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, არც მსოფლიოს პოლიტიკური წრეებს. თავის დროზე და დღესაც ისინი გმობენ და საერთაშორისო უფლებისა და სინიდისის წინაშე ასამართლებენ ამ კრიმინალურ აქტს.

ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ემიგრაცია, საქართველოს ომში თუ აჯანყების დამარცხების შემდეგ უცხოეთში გამოსული, ქვეყნისა და ერის უბედობისადმი შეურიგებელი, ურყევათა სდგას, ეროვნულ თავისუფლებისა და სუვერენობის აღდგენისადმი ბრძოლის პოზიციებზე და განაგრძობს მოქმედებასა და ბრძოლას თავისუფალი მსოფლიოს პოლიტიკურ ასპარეზზე, საერთაშორისო სინიდისისა და მორალის გზით. და ურყევადა სწამს ქართველი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა.

უშედეგოა მტრების ცდები ჩვენი სულიერად დაძაბუნებისა და გატეხისათვის. მათი უზნეო და უნამუსო შემოტევები და თავდასხმები, კიდევ უფრო აკავშირებს და სულიერად აძლიერებს ქართულ ეროვნულ-პოლიტიკურ ემიგრაციას.

აკადემიკოსი არააკადემიურ როლში

ქართული ემიგრაცია, მთელი ორმოცი წლის მანძილზე, შეუდრეკელათ ატარებს ანტიკომუნისტური ბრძოლის დროშას და მოსკოვის იმპერიალიზმთან ბრძოლის ერთი მთავარი პიონერთაგანია. საბჭოთა ხელისუფლება უთუოდ დიდ ანგარიშს უწევს, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ქართული ემიგრაციის მიერ წარმოებულ ბრძოლებსაც. ამით აიხსნება, რომ ამ უკანასკნელ წელთა მანძილზე საბჭოთა საქართველოს მეთაურნი განსაკუთრებით ყურადღებას იჩენენ ქართული ემიგრაციის მიმართ. რასაკვირველია, ეს ყურადღება ემიგრაციაზე თავდასხმებში გამოიხატება. დღემდე ჩვენ მოთმინებით ვიყავით, მათ თავხედურ გამოლაშქრებას უპასუხოთ ვტოვებდით და ამაყი სიჩუმით ვხვდებოდით, რადგან ვიცოდით ემიგრაციის ღირსება, ფასი და მისი მაღალი დანიშნულება. მაგრამ ამიერიდან ეს შეუძლებელი ხდება, რადგან მათი კამპანია სცილდება ყოველ საზღვრებს და ჩვენი წარსულის, ჩვენი წინაპრების, ჩვენი «წმიდათა-წმიდის» შეგინების ხასიათს ღებულობს. მკითხველი მიხვდება, რომ ჩვენ სახეში გვაქვს ფ. ლომაშვილის ბროშურა «ქართული ემიგრაციის ისტორიიდან». ეს ბროშურა თავიდან ბოლომდე მუხდალი ტალახი და ეუტყია. ჩვენ არ ვაპირებთ მის გარჩევას—მას ალბათ სათანადოთ გაარჩევენ და სათანადო პასუხსაც გასცემენ.

ჩვენ ვფიქრობთ ლომაშვილის ნაცოდვილარზე უფრო დამაფიქრებელი, სამწუხარო და გაცილებით უფრო ცუდია ის ამბავი, რომელზედაც ახლა მოგახსენებთ. ამაზე წერა ჩვენთვის მრავალმხრივ უფრო სამძიმოა, რადგან ის შეეხება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, გიორგი მელიქიშვილს. *)

ჩვენ არა ერთხელ დაგვიწერია და საჯაროთაც განგვიცხადებია—თუ რა დიდს და საშვილიშვილო საქმეს აკეთებს საქართველოს აკადემია, რომ საქართველოს აკადემიას ჰყავს მეცნიერთა ისეთი პლეადა, რომლის სახელები მსოფლიოს უდიდეს უნივერსიტეტებს და აკადემიებს დაამშვენებდა. კერძოთ, ვიცნობთ აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის თავდადებულ შრომას, დიდ უანგარობას. ჩვენი წარსულისადმი სიყვარულს, ზღვარუდებელ მოთმინებას, დაუღალავ ძიების წყურვილს, ჰიპოტეზაში—ზომიერებას და დასკვნებში აუჩქარებლობას. ყველა ამის მიხედვით ჩვენ ასე ვსჯით, რომ ჩვენთვის სრულებით არ არის სასარგებლო მისი დამცირება და გაბახვა. სამწუხაროთ აკადემიკოსი ასე არ ანგარიშობს ჩვენს მიმართ და განუსჯელად, მეორე მხარის მოუსმენლად და ბოლომდე მოუფიქრებლად, წინასიტყვაობას უკეთებს ლომაშვილის პამფლეტს, რომელშიაც ასე ურცხვად შეგინებული, ასე უშვერად მოხსენებული ჯერ არავისგან არასოდეს არ ყოფილან ჩვენი წინაპარნი, ჩვენი სასიქადულო საისტორიო კაცები და ჩვენი თავმოსაწონებელი დამოუკიდებლობის ხანა. ჩვენ არას ვიტყვით იმ შეუწყნარებელი ტონის გამო, რომლითაც გაქცენთილია ეს წინასიტყვაობა, და რომელიც ამჟღავნებს ავტორის გემოვნებას. ჩვენ გვსურს მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ ასეთი ბუქით და კორიანტელით ნათქვამი სიტყვები ბეზღობაზედ, უცხოეთის დაზვერვათა სამსახურში ყოფნაზე, ღალატზე და სხვა ამისთანებზე—ბოროტი განზრახვის და მრუდე გულის ნაკარნახევია. თუ ამას აკადემიკოსი მელიქიშვილი დღევანდელი საქართველოს მთავრობის კარნახით წერს, მით უარესი ამ მთავრობისათვის. ვინაიდან იმას, რაც ლომაშვილის პამფლეტში და მის წინასიტყვაობაში წერია, შეუძლებელია ქართული ღირსების, ქართული საქმის, ქართული მორალის და ქართული პოლიტიკის დაცვა უწოდოთ. ლომაშვილს ჩვენ ვერ მოვთხოვთ დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის, დამოუკიდებელი საქართველოს პარტიების თავკაცების მოკრძალებით და მორიდებით მოგონებას, მაგრამ აკადემიკოს მელიქიშვილს კი ეს მაქსიმალურად მოე-

*) ამ საკითხზე მოკლე ხანში სპეციალური ბროშურა გამოვა,—მაგრამ ზოგიერთ საკითხებს, კერძოთ ჩვენი პარტიის ხელმძღვანელებს რომ ეხება, ჩვენი ჟურნალი კვლავ დაუბრუნდება.

თხოვება. მას არ შეეფერის მყვირალა სიტყვები, ჩეკის სარდაფიდან ამოზიდული ყალბ საფუძველზე აგებული სისხლიანი დასკვნების განმეორება. უფრო არ ეკადრება მას ასეთ ტუტყიან ანგარიშებში აკადემიკოსის წოდების გასვრა-დახურდავება.

ქვა გულის მქონე უნდა იყოს საქართველოს შვილი, რომ ემიგრაციის მნიშვნელობა, მისი მაღალი დანიშნულება და მისი მეთაურების როლი, «უცხოეთის დაზვერვის აგენტების» დონემდე ჩამოიყვანოს. საქართველო იყო ქართული ემიგრაციის მეთაურობის პირველი და უკანასკნელი სიყვარული და ისინი ისე წავიდენ ამა სოფლიდან, რომ საფლავშიაც თან ჩაიტანეს ქართველი ერის კეთილდღეობაზე, მის სასიცოცხლო ინტერესებზე და მომავალზე ფიქრი და აზრი. დარბაისელი მორწმუნე რომ გადაავლებს თვალს თავის მორთულობას საყდარში შესვლის ქამს, რომ ფეხით, ან სამოსელით ტალახი რამ არ შეიტანოს წმინდა საყდარში, ისევე დიდ მამულიშვილთა მოგონების დროს საჭიროა გონების თვალით გადავლება და გადასინჯვა იმ აზრისა და სიტყვისა, რომელიც მიგვაქვს დიდი ხსოვნის სამსხვერპლოზე, ვით ცოცხალთა წმინდა ვალი. თუ ეს შეუძლებელია და ამას არავინ არ ავალებს გიორგი მელიქიშვილს—მას ერთი რამ აუცილებლად ევალება: ასეთი საკითხების წინ სავსე თაველივით თავმოდრეკა და ჩრდილში დგომა. ამას მოითხოვს აკადემიკოსის ღირსება.

აკადემიკოსი მელიქიშვილი «თავის» წინასიტყვაობაში. ლომაშვილის პირით, ასე მოგვმართავს: «ნუ გახდებით საკუთარი ქვეყნის და ხალხის მოღალატენი, ნუ შეხვალთ მშობლიური ხალხის მოსისხლე მტრის სამსახურში, ნუ მოექცევით უცხოეთის დაზვერვათა ბინძურ კლანჭებში: უფრო მეტად დაუახლოვდით, გაეცანით თქვენს მშობლიურ ქვეყანას; მონახეთ თქვენი ადგილი იმათ შორის, ვინც სამართლიანობის. მშვიდობის და ხალხთა შორის მეგობრობის იდეიით იბრძვის და მოქმედებს»-ო.

მოდით და ამ მოწოდებაზე ნუ გაიცინებთ, ან მთელი გულისწყრომით ნუ აიმღვრევით, ნუ აფეთქდებით. მაგრამ ამ მოწოდებაში არის ადგილები, რომელმაც ცოტა დაგვამშვიდა. პატივცემულმა აკადემიკოსმა მოწყალების თვალით გადმოგვხედა, შეგვიბრალა, მთლად არ გაგვწირა და გვირჩევს—უფრო მეტად დაუახლოვდით და გაეცანით თქვენს ქვეყანასო. წესიერ საზოგადოებაში ეს ადგილი ასე იქნება გაგებული: უფრო ახლო გავიცნოთ ერთმანეთიო. თუ ეს ასეა, ჩვენს სიხარულს საზღვარი არ აქვს, ვინაიდან აქ მოსჩანს უშუალოდ გულწრფელობით აღბეჭდილი კილო. ამიტომ ჩვენ მზად ვართ დავაკმაყოფილოთ აკადემიკოს მელიქიშვილის სრულიად კანონიერი და გონივრული წინადადება.

ბ-ნი აკადემიკოსი ლომაშვილის «ნარკვევი»-ს წინასიტ-

ყვაობას ასე ახასიათებს: «ვფიქრობთ ამ ნარკვევს ინტერესით გაეცნობიან თანამემამულენი, როგორც ჩვენი ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ»-ო. ჩვენ ბ-ნო გიორგი ღვთის მადლით და თქვენი წყალობით გავეცანით ამ «ნაშრომს», გულდასმით მოვისმინეთ ემიგრაციის წინააღმდეგ წამოყენებული «ბრალდებები». სამართლიანობა კი მოითხოვს ჩვენც მოგვისმინოთ და უწინარეს ყოვლისა თვით ქართველმა ხალხმა, მაგრამ არა ნიღაბ ამოფარებულათ, არამედ თვით თქვენს პრესაში. სხვა მხრივ ეს იქნებოდა ცალმხრივი გაცნობა და რაღაც სრულიად გაუგონარი სიდიზმი. თუ თქვენ ასე გული გტკივათ მსოფლიოში გაფანტულ თქვენს თანამემამულეთა სვე-ბედზე, თუ თქვენი წინასიტყვაობა წრფელი გულიდან ამოხეცურები მოწოდებაა ბ-ნო გიორგი—იმედია ამის საშუალებას მოგვიპოვებთ. სეირი და სანახაობა მაშინ ნახეთ. მაშინ ყველაფერი მზეზე გამოიფინება და გამოიპიმება მთელი თავისი სიგრძე-სიგანით. მაშინ გაიგებთ ვინ არის საკუთარი ქვეყნის და ხალხის მოღალატე, ვინ არის სამშობლოსა და ერის მოსისხლე მტრის სამსახურში, ვინ მოექცა დაზვერვათა ბინძურ კლანჭებში და ვინ ვის ესხმის თავს მტრის პოზიციებიდან. მაშინ გაიგებთ დაჰკარგა თუ არა ქართულმა ემიგრაციამ პოლიტიკური ძალა.

გაიგებთ აგრეთვე, რომ ჩვენ არ ვცხოვრობთ ფუფუნებასა და განცხრომაში. მაგრამ ერთი კი არის—ჩვენი ცხოვრება მის ყოველდღიურ საჭიროების ფარგლებს სცილდება. ჩვენი შვილები და შვილიშვილები სახელმწიფოს მანქანის ხრახნებად არ გამხდარან დაბადებიდანვე და მამებთან ერთად არ არიან მიბმული ბაგაზედ, საიდანაც უნდა მიიღონ ყოველდღიური საკვები.

ჩვენ არ დავმალავთ და ჩვენ ნაკლზედაც აშკარათ ვილაპარაკებთ, ჩვენ ამისი არ გვეშინია. იტყვიან: «უნაკლო კანონი არ არისო», მაგრამ ამ ნაკლთან ერთად ჩვენ შევინახეთ ქართული ხასიათის ის სპეციფიური თვისებები, რომელთა შემწეობით ქართველმა ერმა სისხლით წარმღვნელ თავის ისტორიას გაუძლო. ეს თვისებები გახლავთ: პიროვნული და საზოგადოებრივი ღირსება, მისი შეგნება, სიამაყე, თავმოყვარეობა. ეს თვისებები განსაკუთრებულ ხასიათს და სულისკვეთებას ჰქმნის, განსაკუთრებულ ამბიციას. მაგრამ, თქვენ კარგათ მოგეხსენებათ ბ-ნო გიორგი, თუ ამბიციას ნორმალურ კალაპოტში არ ჩააყენებთ, ის მავნე და საზარალო გახდება ერისათვის. ამ შემთხვევაში ის სიმსუბუქეა. მკვეხარობა, უშნო, ულაზათო პრანჭიაობა, უსაფუძვლო ქედ-მაღლობა—წყარო ყოველმხრივი სიმჩატის, უანგარიშობის, მოუთმენლობის და სულმოკლეობის. მაგრამ რაც მთავარია—წყარო უგუნურ ბაიყუშობის, ეროვნული ნიჰილიზმის, რაც უკვე ველარ თავსდება თვით დიდი პოლიტიკური შეცდომისა და მარცხის ფა-

რგლებში. ის ეროვნული კატასტროფის სახეს ღებულობს. ის მძიმე ჭრილობას აყენებს საქართველოს განმათავისუფლებელი ბრძოლის საქმეს. ის ბღალავს და ლახავს ქართულ ღირსებას. ხოლო ყოველივე ეს არ არის ისეთი ღირებულება, რომ ის, ერთხელ შელახული და დაკარგული ადვილად აღვიდგინოთ და დავიბრუნოთ. აი ბატონო გიორგი რამდენ თავსატეხ საკითხზე, ჩვენს ეროვნულ ნაკლზე და სუსტ მხარეებზე უნდა ვზრუნავდეთ, ვზრუნავდეთ მათი გამოსწორებისათვის —შინ და გარეთ. როგორც თქვენ იტყოდით, ჩვენც შეგვიძლია ამ საქმეში ცოტათი ხელი წაგიკრათ. რა ვუყოთ, რომ ჩვენ ფარნაოზ ლომაშვილივით ისტორიის მეცნიერების კანდიდატი არა ვართ, ჩვენც არ გვივლია უქმად ევროპაში. ასე რომ დიალოგი ჩვენს შორის სწორედ მისწრება იქნება. ეს საჭიროა ყოველთვის, ყოველგან და ყოველისფერში, კერძო თუ საქვეყნო საქმეში, მშვიდობიანი მოქმედებისა, თუ ცხარე ბრძოლების დროს მაგრამ დიალოგი არა ანონიმური, ნიღაბ ამოფარებული, არამედ ახდილი, თეთრზე შავად ხელის მოწერით, რომ შინა და გარე მყოფმა, ორივემ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა აიღოს ქარველი ვრისა და მისი ისტორიის წინაშე.

შ. ჯალანდამე.

სოფლის მეურნეობის გამოუვალი კრიზისი

სტალინის სიკვდილიდან ექვსი თვის შემდეგ, ხრუშჩოვი გახდა პარტიის პირველი მდივანი და იმავე დროს მთავრობის თავმჯდომარე. მან მაშინვე ამცნო საბჭოთა ხალხებს და მთელს მსოფლიოს, სოფლის მეურნეობის ღრმა კრიზისი, რომელსაც საბჭოთა-კავშირი მუდმივად განიცდიდა კოლექტივიზაციის იძულებით გატარების დღიდანვე. ამის მიზეზი და დამნაშავე, მისი რწმენით, სტალინის უხეში ადმინისტრატიული სამეურნეო-პოლიტიკა იყო. ხოლო ამდენხანს ამისი გამხელა საჯაროდ ვერავის გაებედა, თუმცა ყველამ კარგად უწყოდა. სიმართლის გამხელა კი ნიშნავდა კოლექტივიზაციის სახელის გატეხას. კოლმეურნეობის საბოლოოდ გაბახებას. ისევ «გამბედაობა», მართალია დაგვიანებით, ხრუშჩოვმა გამოიჩინა და პარტიის ყრილობას მოახსენა, რომ მცხოვრებთა გაზრდილ მოთხოვნილებას ჩვენი სოფლის მეურნეობა სათანადოთ ვერ აკმაყოფილებს, თავის დროზე ვერ ამარაგებს, ამისათვის საჭიროა სახნავი ფართობის გადიდება და ყამირი მიწების დამუშავება. ხორბლეულ-მარცვლეულობის ნაკლებობა მეტად საგრძნობია, განსაკუთრებით, სამრეწველო რაიონებში პურის და ხორცის მოწოდება რეგულიალური და

საკმარისი არ არის. ცხოველების მოშენების საქმე ცუდათ არის დაყენებული, მათი რაოდენობა ნაკლებია ვიდრე იყო ოქტომბრის რევოლუციის წინ. სტალინი და მალენკოვი ხალხს სინამდვილეს უმალავდენ, უხვი მოსავლის შესახებ, ყალბ სტატისტიკურ ცნობებს აწვდიდენ, მაშინ როდესაც აუცილებელ საჭირო სურსათ-სანოვაგის სიმცირე ყველას მიერ ცხადათ შეიმჩნეოდაო.

ამის შედეგად, მთავრობამ გამოაცხადა მთელი რიგი დადგენილებებისა, რომელიც ცხოვრებაში უნდა გატარებულიყო, სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობის გამოსასწორებლად. ეს დადგენილება ეხებოდა ხორცის და რძის ნაწარმოთ ფასების მომატებას, რომ ამით მესაქონლეები წაეხალისებიათ და დაეინტერესებიათ რათა ცხოველების გაზრდა-მოშენება გაორკეცებულიყო. მაშინ, ხრუშჩოვი საბჭოთა ხალხებს დაპირდა, რომ მთავრობის და პარტიის გადაწყვეტილება დაუყონებლივ სისრულეში იქნებოდა მოყვანილი და პური, ხორცი, კარაქი მომხმარებელთ, რამდენიმე წლის შემდეგ. თავზე საყრელი ექნებოდათ. გავიდა დაპირებული ვადები, თავზე საყრელის რა მოგახსენოთ, ხოლო ამ ძვირფასი, საჭირო პროდუქტების ნაკლებობა აშკარა იყო, თუ ყველგან არა, დიდ სამრეწველო ქალაქებში მაინც.

ხრუშჩოვის განპატიჟების შემდეგ, მათმა მემკვიდრეებმა ეკონომიური მდგომარეობის შესახები ცნობები გამოაქვეყნეს, რომელიც მაინცადამაინც არც ბრწყინვალეა. გეგმის მიხედვით 1959 1965 წლების პერიოდისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქცია 70 პროც. უნდა გაზრდილიყო, ხოლო სინამდვილეში პროდუქციის მომატებამ 10 პროცენტს ძლივს მიაღწია. უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში წლიური გეგმა სრულად მხოლოდ სამჯერ იყო შესრულებული, დანარჩენი შვიდი წლის გეგმა დეფიციტური აღმოჩნდა. ბრეჟნევმა ამის გასამართლებლად, როგორც მისმა წინამორბედმა—ხრუშჩოვმა, არ დაასახელა გვალვები და ცუდი ამინდები, არამედ სთქვა: სოფლის მეურნეობა მეტად სავალალო მდგომარეობაში იმიტომაა რომ სამეურნეო გეგმა ვაგლახ და ნაუცბათევად იყო შედგენილი და პრაქტიკაში, უფრო ვაგლახ გატარებულიო. დაუსახელებლად, ამაში ბრალი მის წინამორბედს—პარტიის და მთავრობის თავმჯდომარეს დასდო. ესეც მიღწევად უნდა ჩავთვალოთ, რადგან ამის პრეცედენტი კომუნისტურ პარტიას არ ახსოვს.

საბჭოთა კავშირის ახლანდელი მესვეურები ამ მდგომარეობის დასაძლევად სხვადასხვა საშვალებას სახავენ, მაინც არც ისეთ რადიკალურს, რომ კრიზისი ოდნავ შენელებულ იქნეს. საწარმოო კოოპერატივებს, კოლმეურნეობის და საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელებს, ისინი დიდი თანხებით დახმარებას პირდებიან, ე. ი. ხუთი წლის გასწვრივ მთავრობა

მათ განკარგულებაში 71 მილიარდ მანეთს გაიღებს. ამ მასიური ფულადი სახსარით მათ იმედი აქვთ სოფლის მეურნეობის პროდუქცია სათანადო ამაღლებულ დონეზე აიყვანონ და პერმანენტური კრიზისები ამით თავიდან აიცილონ. ხოლო ერთია დადგენილება და პერსპექტიული დაპირებანი სხვა რამეა ამ ვრცელი გეგმის შესრულება. რამდენი ამისთანა ფანტასტიური გეგმა იქნა გამომუშავებული და შემდეგ ჩაფუშული, ამას ვინ მოსთვლის.

სპეციალისტების გამოანგარიშებით ეს ასტრონომიული თანხები თითქმის უდრის იმ ოდენობას, რაც საბჭოთა მთავრობის მიერ ამ უკანასკნელი 19 წლის განმავლობაში, სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის იქნა დაბანდებული. საინტერესოა იცოდეს, თუ ჩვენ არა, კავშირის მოსახლეობამ მაინც. ბიუჯეტის ან შემოსავლის რომელ წყაროდან შესძლებს მთავრობა მილიარდებით გადადებულ თანხების დაფარვას? ამის შესახებ ბრეჟნევი არავითარ განმარტებას არ იძლევა. რატომღაც ეს კარდინალური საკითხი ჩრდილშია დატოვებული და მიფუჩეჩებული.

აქამდის კი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის წარმატებისათვის კოლმეურნეებმა, მართალია, ბუზღუნით, მაგრამ მაინც მძიმე ხარკი გაიღეს. ამის შემდეგ ისინი სამართლიანად მოელოდენ, რომ ამიერიდან მაინც სოფლის განვითარების და მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხი პირველ რიგში დადგებოდა, რაც ამდენხანს მთავრობის ყურადღების გარეშე იყო დარჩენილი, რადგან სიმძიმის ცენტრი გადატანილი იყო მძიმე ინდუსტრიის უპირატესობაზე.

ბიუჯეტის უთანასწორო განაწილებამ, მრეწველობისათვის უპირატესობის მიცემამ, მეურნეობის შეთანაბრებული წონასწორობა დაარღვია, რაც გვიან იქნა შეჩნეული. კრიზისების დასაბამი და ღრმა მიზეზები თვით კოლექტივიზაციის პრინციპების არა ბუნებრივობის გარდა აქ უნდა ვეძიოთ, და არა გვალვებსა და პიროვნებათა უხეიროობაში.

განა ხრუშჩოვმა ამ სამი წლის წინად არ მოიწადინა, რომ სოფლის მეურნეობას მოხმარებოდა სახელმწიფო ბიუჯეტის იმ ხარჯების ერთი ნაწილი, რაც სამხედრო შეიარაღების და მძიმე ინდუსტრიისათვის იყო განკუთვნილი? იმ ხანებში, მან სწორედ იმავე ცენტრალური ორგანოებისაგან დასტური ვერ მიიღო და სოფლის მეურნეობა ძველ მდგომარეობაში დარჩა. კრიზისი უფრო გაღრმავდა: ხორბლის მოსავალმა თანდათან იკლო, მთავრობა იძულებული იყო, დანაკლისი, ყბად აღებული კაპიტალისტური ქვეყნებიდან შემოტანით დაეფარა.

ახლა განმეორებით აღნიშვნა, რომ კოლმეურნეთა შემოსავალის გადიდება აუცილებელია, არც არის ისეთი რამ, რაც წინაღ, ხრუშჩოვის მიერ არ ყოფილიყოს ათასჯერ ნათქვამი მის გრძელ ენაწყლიან მოხსენებებში. ყველას ახსოვს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ის ხშირად ამბობდა კოლმეურნეთა სტიმულისა და ინიციატივისათვის, საჭიროა მათი მატერიალური სარგებლობით დაინტერესება. რაც მათ წაახალისებდა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის აღმავლობას შესამჩნევად გაზრდიდა. განა იმავე ხრუშჩოვმა, 1962 წ. ერთბაშად 25—30 პროც. არ ასწია ხორცის და რძის ნაწარმთა ფასები. რამაც როგორც ცნობილია მუშების და სხვა მომხმარებელთა უკმაყოფილება და ამბოხებაც კი გამოიწვია, რაც სასტიკი ზომების მიღებით აღკვეცილ იქნა? საქმეს ვერც ამან უშველა, მწარმოებელ კოლმეურნეთა ინტერესი ვერც ამ მომატებამ გააღვიძა და მათმა ჯიუტობამ ნავარაუდები ზედმეტი მუშაობით პროდუქციის ბარაქიანობა დააბრკოლა და სრულებით ვერ გაუხვა.

სამაგიეროდ, ახალმა ხელმძღვანელებმა ცოტა რამ მაინც დაუმატეს თავიანთ დადგენილებას: მათ დაგმეს ხრუშჩოვის მიერ ნაჩქარევად და გაუთვალისწინებლად გამსხვილებულ კოლმეურნეობათა უვარგისობა, რაც მოვლის და გამგებლობის საქმეს მეტად აძნელებდა და რასაც ზარალის მეტი არაფერი მოქონდა. მართლაც, ხრუშჩოვი ყოველთვის იყო გაერთიანებული დიდი სამეურნეო ერთეულის შექმნის მომხრე. ჯერ კიდევ, სტალინის სიცოცხლეშივე, 1950 წლიდან ის მოითხოვდა სამეურნეო კოოპერატივების გადაჯგუფებას და სოფლების აგრო-ქალაქებად (ქარხნულ წესზე) გარდაქმნას, სადაც კოლმეურნეები, მზგავსად ქარხნის მუშებისა, ხელფასს მიიღებდენ, ხოლო მათ მიერ მოხვეჭილი პროდუქციის ბატონ-პატრონი კი სახელმწიფო იქნებოდა. ხრუშჩოვის ეს ფანტასტიური და ნაადრევი რეფორმა, სტალინმა არ გაიზიარა, ბატონ-ყმურ სისტემათ მიიჩნია და როგორც არა-მარქსისტული უარყო. განზრახული რეფორმა მალე დავიწყებას მიეცა. როცა ხრუშჩოვი ხელისუფლებაში მოვიდა, ის კვლავ დაუბრუნდა თავის აგრო-ქალაქების შექმნის იდეიას. სულ იმ ხანებში 250 ათასი კოლმეურნეობა იყო, ხრუშჩოვის დროს 40000 დავიდა, ე. ი. ხრუშჩოვმა ნაწილობრივ განახორციელა თავისი რეფორმა და გაამსხვილა სოფლის მეურნეობის კოლექტივები. კოლმეურნეობის ეს კონცენტრაცია, რომელიც ხრუშჩოვის თაოსნობით დადგინდა, პროგრესიულად, თავის შინაგან წყობით, საბჭოთა მეურნეობას უნდა გათანასწორებოდა. ამ რიგად ისპობოდა წვრილი კოლექტიური მეურნეობა და წესდებოდა მთლიანი, საბჭოთა სახალხო მეურნეობა, რომელიც თითქოს უნდა ყოფილიყო მთელი ხალხის კუთვნილება. როგორც დავინახეთ, ამ უნიადაგო რეფორმამ არევ დარევა შეიტანა სოფლის მეურნეობაში, უკმაყოფილება დაბადა და მომატების ნაცვლად, პროდუქციამ თანდათან იკლო, რაც მუდმივ კრიზისით დასრულდა. ბრეჟნევის მოხსენების თანახმად, ეს მძლავრი კოლმეურნეობები დაიყოფიან და კვლავ აღდგე-

ნილი იქნება ძველი რაიონული სისტემის წვრილი კოლმეურნეობა.

ამასთანავე პარტიის პირველი მდივანი—ბრეჟნევი მოითხოვს, რომ სპეციალისტების ადგილობრივ კადრებს უფლება მიეცეს გამოცდილების მიხედვით, თვით გადასწყვიტონ და მოაგვარონ თავიანთი მეურნეობა, როგორც თვით საჭიროდ დაინახავენ. მათ შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ, თავიანთი მეურნეობა შეუბოჭველად, ნებაყოფლობით აწარმოონ და არა ზევიდან მოხვეული გეგმებით. მათ თვით უკეთ იციან, სად როგორი და რა დარგის კულტურები დანერგონ, ადგილობრივი პირობების მიხედვით. წინათ კი მათ ხრუშჩოვი, განუკითხავად, აიძულებდა, ყველგან, არახელსაყრელ კლიმატურ ზონაშიაც, სიმინდის კულტურა განევითარებიათ, ხან აძალებდა, სამეურნეო ფართობის გავრცობის მიზნით, საძოვარი ადგილებიც კი მოეხნათ, რაც საკვების შემცირების გამო, საზიანო იყო პირუტყვების სულადობის მომატებისათვის.

შემდეგ ეს ექსტენსიური-გავრცობითი მეურნეობის სისტემა, დიდი დავიდარაბით, უარყოფილ იქნა, იმ მოტივით, რომ მან ნავარაუდევი შედეგი ვერ გაომიღო და მოულოდნელად, სრულიად მოუმზადებლად, ქიმიური სასუქების მომარაგების გარეშე, ინტენსიურ მეურნეობაზე გადავიდენ, რაც ნორმალურად, ქიმიურ მრეწველობის უქონლობის პირობებში, ყოვლად წარმოუდგენელია. უებარ საშვალებად ვერც ნაუცბათებად წამოწყებული ინტენსიური მეურნეობა აღმოჩნდა, რადგან, როგორც მოგეხსენებათ, ქიმიური მრეწველობის განვითარება, თუ მეტს არა, ათეულ წელს მაინც საჭიროებს. ისეთი ვრცელი ტერიტორია, როგორც საბჭოთა-კავშირია, ხელოვნურ სასუქების მთებს მოითხოვს.

ხრუშჩოვი სასტიკი წინააღმდეგი იყო სოფლის მეურნეობაში იძულებითი მეთოდის გამოყენების და დაჯერება-რჩევა-დარიგებას ხშირად მიმართავდა, მაგრამ იმავე დროს იძულებაზეც უარს არ ამბობდა და კოლმეურნეებს დაუზოგავად აკრიტიკებდა, როცა ისინი სიმინდის კულტურის გაფართოებას უარყოფდენ, ან როცა ყანას ასვენებდენ, ან ამინდვრებდენ, რომ საქონლის გამოსაკვებად, საბალახოებიც ჰქონოდათ. საერთოდ ცნობილია, რომ ადმინისტრაციული ზომები მავნებელია ყოველგვარ მეურნეობაში და განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობაში. სამეურნეო გამგებლობის ბიუროკრატიული ცენტრალისტური სისტემა, საბჭოთა ხალხებისათვის მეტად მძიმე ტვირთია, რაც მათ ინიციატივას ბორკავს და გეგმის შესრულების საქმეს აბრკოლებს. შესძლებენ კი ხრუშჩოვის მემკვიდრეები ამ ტვირთის შემსუბუქებას, თუ ისინიც ისევე გადაყვებიან სოფლის მეურნეობის კრიზისის დაუძლეველობას, როგორც გადაყვა მათი წინამორბედი?

ხრუშჩოვი, ამ ათი წლის განმავლობაში, სოფლის მეურნეობის კრიზისის დასაძლევად. წინააღმდეგობის ქსელში იყო გახვეული და ლაბირინტიდან გამოსავალს ვერ პოულობდა, მიუხედავად დაკინებულ ცდებისა. მისი ერთიმეორის საწინააღმდეგო რეფორმები, მისმა მემკვიდრეებმა ყირაზე გადაატრიალეს. ხოლო, მთლიანად კოლმეურნეობის სისტემის საფუძვლიან შეცვლას ვერც ისინი ახერხებენ. პატარ-პატარა ნაბიჯებით, პალიატური საშვალებით, ფიქრობენ, დროებით მაინც. უილაჯობას თავი დააღწიონ, სანამ მათ წინაშე. კოლმეურნეობის დაშლის აუცილებლობა და კერძო, ერთპიროვნული მეურნეობის შემოღების საჭიროება არ დადგება. მათთვის სხვა გამოსავალი არ არსებობს: კრიზისის დასაძლევად ყველა კარები დახშულია.

ს. ჯორაქაძე.

ჩვენი დროის „სიბრძნე სიცრუისა"

ბატონ ბესარიონ ჟღენტს რომ ჯანმრთელი თვალები არა აქვს ყველამ იცის, ვისაც კი იგი ერთხელ მაინც უნახავს მაგრამ მას შემდეგ რაც რუსეთმა აღმოსავლეთ გერმანია და მისი ოპტიკური წარმოება ხელში ჩაიგდო, რუსეთში მშვენიერი ხარისხის სათვალეები იშოვება და სწორედ ერთ ასეთ სათვალეს ატარებდა პარიზში ჩამოსული ბ. ჟღენტი—მიუხედავად ამისა, მან აკ ისეთი რამ «ნახა» რომ ჩვენ, პარიზელი ქართველები ფრიად გაგვაკვირვა.

ჩვენს ტანჯულ ქვეყანაში დღეს ისეთი ზნეობა მეფობს, რომ კაცი ვერ გაიგებს ვინ რატომ რას ამბობს; ვინ გმორჩენისათვის, ვინ თავის რჩენისათვის და ვინ თავის გადარჩენისათვის სტყუის; ვინ იძულებით, ვინ უმეცრებით და ვინ მიდრეკილებით სტყუის. ერთიკი ცხადია: საბჭოთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სიმართლე დაუმახინჯებლად სინათლეზე გამოჩენას ძლიერ იშვიათად ბედავს.

საბედნიეროთ დღეს ისეთ ტრაღედიას ადგილი აღარა აქვს, უდანაშაულო ხალხს რომ აიძულებდენ თითონვე თავიანთვის სასიკვდილო განაჩენი მოეთხოვათ, ან აუტანელ შრომით თავს ძლივს რომ ირჩენდენ იმ ხალხს რომ ამღერებდენ რა საამო ცხოვრება გვაქვსო, ან სისხლით ხელებ დასვრილ ჯალათს ხოტბას რომ ასხამდენ «ჩვენი ლავრენტ ბერია»-ო. მაგრამ რადგან რეჟიმის მთელი სისტემა თავიდანვე სიცრუეზეა დაშენებული საბჭოეთში სიმართლის ობიექტიური ძებნა არც საჭიროა ვინაიდან სიმართლეთ მხოლოდ ის არის მიჩნეული რაც კომუნიზმის აშენებას ხელს შეუწყობს. ეს ასე იყო თავიდან და დღემდის, მიუხედავად რეჟიმის სიმკაცრის შენელებისა, ამ მხრივ არავითარ ცვლილებებს ადგილი არა აქვს.

ყოველივე ამან ათეულ წელთა განმავლობაში თვით აზ-

როვნებაზეც იმოქმედა და საბჭოთა მოქალაქენი სიმართლის დამახინჯებას იმდენად მიჩვეულნი არიან, რომ ამ ადამიანების ყოველდღიურ უბრალო საქციელსა და თავდაჭერასაც კი კვალი აქვს დამჩნეული. ამას ისინი თვითონ ვერც კი ამჩნევენ, მაგრამ ჩვენ, აქაურ ქართველებს ამდენი ხნის განშორების შემდეგ ეს ცვლილება მაშინვე თვალში გვეცა.

ამ მოვლენამ ყველაზე მეტად რა თქმა უნდა მწერლობაზე იმოქმედა—იმდენად რომ დღეს ჩვენში ნამდვილი აღრევა სუფევს: სერიოზული, სახუმარო, საქებარი თუ გამკიცხავი ქანრისა. ხოლო რაც შეეხება ისეთი სიტყვების წარა-მარა ხმარებას როგორიცაა: გამოჩენილი, სასახელო, განთქმული, ცნობილი, საამაყო და სხვა ამგვარი, მათ ხომ გადაჭარბებულ ხმარებისაგან ყოველგვარი ფასი დაკარგული აქვთ. შორს რომ არ წავიდეთ მაგალითისათვის ბ. ელენტის იუბილეს გამო ჟურნალ 1965 წ. «საბჭოთა ხელოვნება»-ს № 7 მოთავსებული ოთ. ეგაძის წერილიც გვეყოფა. ეს წერილი თავისი ფორმითა და შინაარსით ტიპიური მაგალითია იმისა თუ რამდენად დაკარგულია დღევანდელ ქართულ მწერლობაში ზომიერების ნორმალური გაგება. ბ. ელენტის ნამდვილი და დამსახურებული ნამოღვაწარი არც იმდენად აბუჩად ასაგდებია, რომ ამგვარი წერილის გამოქვეყნება ყოფილიყო საჭირო. აქაურ ნორმების მიხედვით ბ. ელენტის შესატყვის პიროვნებას არავითარ შემთხვევაში ასეთ უცნაურ რამეს არ დაუწერენ, საქართველოში კი ჩემი შენიშვნის ზოგ წამკითხველს გაუკვირდება და იტყვის «რა არის აქ უცნაურიო».

როდესაც ჩვენ ქართველ მწერალთა ჯგუფის პარიზში ჩამოსვლა გავიგეთ, ამ ცნობამ ჩვენს შორის განსაკუთრებული ინტერესი და აღელვება გამოიწვია. ხუმრობა ხომ არ არის. ეს დაახლოვებით იმასა ჰგავდა, თანამედროვე აკაკი, ვაჟა, კიტა აბაშიძე, ივანე მაჩაბელი და ვთქვათ ჩუბინაშვილი რომ ჩამოსულიყვნენ—ეს შედარება ვინმემ ირონიათ რომ არ მიიღოს, აქვე აღვნიშნოთ, რომ თუ შედარება ცოტა არ იყოს მკრთალია, არც აქ დახვედრია მათ გურამიშვილი, ვახუშტი ან ალ. ბატონიშვილი.

ჩვენი თავმოყვარეობა თავიდანვე შელახა იმ გარემოებამ, რომ ჩვენი ქვეყნის მაშტაბით ეგზომ მნიშვნელოვანი ხალხი, სრულებით უმნიშვნელო და უცნობ რუსთა ჯგუფში არეული ვნახეთ. არც ის გაგვეხარდა რომ ამ მდგომარეობის მქონე ქართველები მოზარდ ტურისტების მზგავსად შეგირდთა დისციპლინის ქვეშ ცხოვრობდენ. მაგრამ რას ვიზამდით. ალბად ამასაც კომუნიზმი მოითხოვს. მსოფლიოში ყველაზედ თავისუფალ ხალხს თავისუფლების გამომჟღავნება რაში სჭირია. აკი ნათქვამია ყველაზე ცუდათ თერძს აცვიაო.

ქართველი ტურისტები აქ ადრეც ჩამოდიოდნენ მაგრამ ისინი უმეტესად ტექნიკოსები იყვნენ და რაოდენ საინტერე-

სოც ყოფილიყო მათთან საუბარი, ჩვენს ცნობისმოყვარეობას ისინი ძუნწად პასუხობდენ. ეხლა კი შემთხვევა გვქონდა პოეტებისა და მწერლებისათვის მოგვესმინა და გულში ყოველ ჩვენთაგანს იმედი უღვივოდა, რომ ეს პირები, დღევანდელ საქართველოს ფიქრს რომ უნდა წარმოადგენდენ, აქა-იქ, თავიანთ საუბარში, ისეთ რამეს გვეტყოდენ, რის გაგონებაც ჩვენს დაჭრილ გულს მალამოდ დაედებოდა. მაგრამ ამაოდ. არც ერთი, გაბედული კი არა, ოდნავ თავაღმართული კაცის სიტყვა, არც ერთი დამარღვეველი ტონი დერეიმორდულ რეჟიმის ერთგულ სიმფონიაში. ჩვენ ვიხილეთ საკვირელი მოვლენა: უნაღვლო და უცრემლო პოეტები, რომელნიც არაფერს სწუნობენ, არაფერს ებრძვიან, არავის ემუქრებიან; პარტიულ სახელოსნოში დამზადებულ ბედნიერებით კმაყოფილი ხალხი, რომელთაც არც პირადი, არც საზოგადოებრივი ხასიათის ჩივილი არ წამოცდენია. მათ ზედმიწევნით შეასრულეს პროლეტარულ სამეფოს აზნაურთა როლი და ჩვენ წარმოგვიდგენ ვით უნაკლო აღნაგობის, რითმის საკინძი მანქანები, ფრიად ოსტატური დიქციით მოლაპარაკენი. ეს მსჯელობა, რა თქმა უნდა, მერმინდელია თორემ მათი მოსმენის დროს ჩვენს სულში გამეფებულ აღელვებასა და განცდების გამო ჩვენ ანალიზის ყოველივე უნარი წართმეული გვქონდა, მათი მოსმენა ჩვენ რეალურად გვაღელვებდა, და ზოგის თვალები მართლაც აცრემლდა.

უცნაური რამ მოსდით პარიზის ქართველებს ჩამოსულ თანამემამულეთა გამო. ყველას არაჩვეულებრივი ციებცხელება აიტაცებს და იდუმალი ძალა იქითკენ იზიდავს სადაც ეს ჩამოსულები არიან დაბინავებული. ეს მოვლენა სულ უბრალოდ რომ ავხსნათ: საყვარელ და მიუწვდომელ საგნის, თუნდაც ერთი მცირე ნაწილის ხილვის სურვილია. უმეტესობა ამ სურვილს ემორჩილება, მაგრამ ისეთებიც არიან რომელნიც ამგვარ შეხვედრას გაურბიან და როდესაც ცნობისმოყვარეობის გამო მე ამის მიზეზი ვეძიე, აღმოჩნდა რომ ესენი თავს იკავებენ რადგან სიამის განცდის გარდა, ძველი, აწ თითქმის მიძიწებული, ტკივილის კვლავ აღძვრისა ეშინიათ.

პარიზელმა ქართველებმა ჩამოსულები ვახშამზე დაპატიქეს და აქ ჩვენ ბ. ჟენტის ნაამბობს ვერ ვეთანხმებით. ისინი დაპატიქებული იყვნენ პოეტ ყიფიანის მიერ თავისი სახელით და არა პარიზელ ქართველ მწერალთა კავშირის მიერ. ამ კავშირის თავმჯდომარე იმ დროს იყო ბ-ნი ელისე პატარიძე, რომელიც ვახშამს არ დასწრებია და არა ბ. გაბაშვილი, როგორც უცნაურად გვიამბობს ბ. ჟენტი «გაბაშვილის მაგივრად ყიფიანი გვმასპინძლობდა» ო (პურ-მარილზე მადლობაც ასეთი უნდა). ვახშამს დაესწრო ოცდა ოთხი სული და არა «სამოცამდე» კაცი. იმათგან რვა სტუმარი და თექვსმეტი მასპინძელი რომელთა შორის ნახევარიც არ იყო მწ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირის წევრი. წვეულება გაიმართა არა «ერთ მდიდრულ» რესტორანში, არამედ უუბრალოეს მუშა-მოსამსახურეთა სასადილოში. ყველა ეს ერთი შეხედვით უმნიშვნელო შესწორებები იმიტომ მომყავს, რომ მათში, რიგით პირველს, დიდი მნიშვნელობა აქვს. პარიზელ ქართველთა მწ. კავშირი ხსენებულ ჯგუფს ვერ დაჰპატიჟებდა, არა იმიტომ რომ ამის უფლება არა აქვს, არამედ სულ სხვა მიზეზისა გამო.

თუ პარიზში ქარ. მწ. კავშირი არსებობს ამის მიზეზი და გამართლება ის არის რომ ამ კავშირს თავისი იდეოლოგია და მიზნები აქვს, რომელსაც ამ კავშირში შემავალი ხალხი ემსახურება. ეს იდეოლოგია და მიზნები აშკარად ეწინააღმდეგება, ჩვენს ქვეყანაში, ძალით, სხვა თესლის ხალხის მიერ შემოტანილ იდეოლოგიას. მაშასადამე თუ თქვენ მწერალ თა კავშირის სტუმრები იქნებოდით, მაშინ ან ჩვენი სიჩუმით ჩვენს იდეოლოგიას ვუღალატებდით ან თქვენ ისეთ რამეს გაიგონებდით, რისი პასიურად მოსმენის უფლებაც თქვენ არა გაქვთ. აი სიმართლე.

ჩვენ შეგნებულად თავს ვიკავებდით, რომ სადაო საკითხებს როგორმე ავცდენოდით, თორემ როგორ გგონიათ თვით წმინდა ლიტერატურულ სფეროშიც რომ დავრჩენილიყავით, ყოველი ჩვენთაგანი ხომ იმას ფიქრობს, რომ ვინაიდან პოეზია ცხოვრების ან ავტორის სულიერ ყოფის—თუნდაც რჩეულ სიტყვით და განსაკუთრებულ ხილვით—ასახვა არის და ვინაიდგან ცხოვრება ან ადამიანის სულიერი განწყობილება არ შეიძლება პერმენენტულად ვარდისფერი იყვეს, ისეთი პოეზია რომელიც გარემოს მუდამ და მხოლოდ უნაკლოდ და იდეალურად სახავს ხელოვნებაკი არა ხელობა არის, რომელიც შემკვეთელს შეკვეთის მიხედვით, კარგ ხელფასში კარგ საქონელს აწვდის.

ასევე, როდესაც კრიტიკა ნაწარმოების ობიექტიურ გარჩევა-შეფასების ნაცვლად, გენერალური ხაზიდან არ გადახვევის დარაჯია, იგი კრიტიკა კი არა ცენზურა არის.

ასეთი რამ თქვენთვის არავის უთქვამს და მიუხედავად ამისა აკი მაინც ჰქონდა ადგილი რაღაც ინციდენტის მსგავს: ვიდრე ნონეშვილი თავის ლექს «ბიჭო იქნებ პაპა იყო შენი» წაიკითხავდა; განმარტა: ეს ყამირ მიწების გასატეხათ ქართველები რომ წავიდენ იქ დავწერეო, ამაზე ვიღაც პარიზელ. მა შენიშნა «სულ უკან რომ გამოიპარენო»? უკაცრავად, ქართველი რასაც იტყვის კიდეც ჰასრულებს, არავინაც არ გამოპარულაო. უპასუხა ნონეშვილმა.

ამაზე იქნებ ზოგმა გულში გაიფიქრა, ბიჭოს, როგორ გამოცვლილა ქართველებიო. მაგრამ არავის არაფერი უთქვამს. თორემ განა სათქმელი არ იყო? თუ დავუშვებთ, რომ ქართველმა ტრაქტორისტმა თურქესტანის მიწიდან ბორკილ ებიანი ძვლები ამოჰყაროს და ის გადასახლებული სწორედ ქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველი აღმოჩნდეს, მაშინ ისიც ხომ ბევრად მეტად სავარაუდოა, რომ ეს ქართველი ნიკოლოზის დროს კი არა საბჭოთა დროის გადასახლებული იყოს. რადგან თუ ცარიზმის ხანაში ციმბირში გათხრილი ქართული საფლავები ერთეულებია, ვინ არ იცის რომ საბჭოებმა ასეთი საფლავები ათასობით ამრავლეს. და ესეც რომ არავის ეთქვა სულ მცირე შენიშვნის გამოც. ნონეშვილი იძულებული იქნებოდა ემტკიცებია, რომ სრულებით ნორმალურია კახელი ბიჭი თურქესტანში ტრაქტორზე დაღიღინებდეს, ხოლო ალაზნის ველზე სარატოველ ვანკების ბღავილი გაისმოდეს.

აი რატომ არ შეიძლებოდა რომ პარიზელ მწერალთა კავშირს მოეწყო თქვენი დაპატიჟება. იმ კავშირს რომელსაც ერთი მხრივ მასპინძლადა სთვლით და მეორე მხრივ დასცინით, სამასი წევრი ყოფილაო, ან ეს რიცხვი საიდან მოიტანეთ, როცა მეათედიღაა. ხოლო რაც შეეხება აქაურ ჟურნალისტთა ხარისხსა და მათში არსებულ მოწოდებას, ამაზე სრულიად მარტივი პასუხი: აქ ჩვენ იმდენად მოწოდებით კი არა ვწერთ, რამდენად უფრო მოვალეობით. შეიძლება ბედითი მწერალი დიდ საქმეს ემსახუროს, ხოლო დიდმა ტალანტმა თავი შაურათ გაჰყიდოს.

რაში სჭირია ბ. ჟღენტს იმისი თქმა თითქოს მათი მოგზაურობის მიზანი საფრანგეთის «დღევანდელი სამეურნეო, პოლიტიკური და საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების გაცნობა» ყოფილიყოს. განა იმ პირობებში როგორც მათ იმოგზაურეს რამის გაცნობა შეიძლება? კრიტიკოსის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს მეტი სიზუსტე არ მოეთხოვება? ან რუსები ისე გაგიჟდენ, რომ თავიანთი მოკალაქენი ევროპის ცხოვრების გასაცნობად გამოუშვან? მაშ ვნახოთ როგორ გაიცნო ბ. ჟღენტმა საფრანგეთის სამეურნეო მდგომარეობა.

მან ინახულა პარიზის სანოვაგის ბაზარი, სადაც იგი განცვიფრებაშია უნდა მოეყვანა მის მიერ არასოდეს ნახულ სანოვაგის გორებს და მათ ნაირ-ნაირობას. ამაზედ იგი არაფერს ამბობს, მაგრამ იმ მოვლენას, რომ პარიზში სანოვაგის ჩამომტანი ვაჭრები თუ ფერმერები, გაუყიდავად დარჩენილ საქონელს იქვე რომ სტოვებდენ და რომ ამ სანოვაგეს ხალხი აგროვებს, უმეტესად კურდღლების საზრდოთ, ნაწილობრივად თავიანთვისაც, იგი აგვიწერს როგორც კაპიტალიზმის მიერ ადამიანის დაბეჩავების შემზარავ სურათს. და მას თუ დაუჯერებთ, საფრანგეთის კაპიტალიზმს პარიზის მცხოვრებთა ერთი ნაწილი ღორების დონემდე დაუყვანია, რადგან ეს უბედურები თურმე იქვე უმად ყლაპავენ «ტალახში ამოსვრილ ნაფცქვნებს» და ასე გასინჯეთ, «პურის ნამცეცებს»-აც კი ჭკენკავენ ბეღურებივით. ეს ხდება იმ პარიზში სადაც ძაღლს რომ მშრალი პური გადაუგდო, ზედაც არ დახედავს.

საფრანგეთში მუშა ხელის სინაკლულის გამო მილიონ

ნახევარი უცხოეთიდან ჩამოყვანილი მუშა მუშაობს. ყველაზე დაბალი კატეგორიის მუშას საათში სამ ფრანკ ნახევარი ეძლევა, ე. ი. რვა საათიან სამუშაო დღეში ოცდა რვა ფრანკი. ამ ერთი დღის ხელფასით მას შეუძლია იყიდოს 28 კილ. შაქარი ან 32 კილ. თეთრი პური ან 15 ლიტრი საშუალო ხარისხის ღვინო ან ერთი წყვილი უბრალო ფეხსაცმელი და ასე შემდეგ, ეს ცნობები თუმცა საბჭოელ კაცს ზღაპრად მოეჩვენება, მაინც სწორია. შეიძლება ბ. ეღენტმა ვინმე ლოთი და სიზარმაცით დამპალი ნაკაცარი მართლაც ნახა მაგრამ მისი კომენტარიები განა ნახულის სწორი გადმოცემაა?

როდესაც იმ «მდიდრულ რესტორანში» «სამოც კაციანი» ნადიმი დასრულდა, შამპანიურის ბოთლები, რომელიც მენიუში შედიოდა და ჩვენ არც კი დაგვილევია, გაუხსნელად მაგიდაზევე დარჩა. ბ. ეღენტმა ერთი მათგანი იღლიაში ამოიდო და თან წამოიღო. ეს რომ დავინახე ჯერ მეუცხოვა, დეპუტატი და ცნობილი კრიტიკოსისაგან, მაგრამ მაშინვე მომაგონდა ის დრო, როდესაც ბ. ეღენტი და მისი მაშინდელი მეგობრები, ახალგაზრდა პოეტები, ხმაურით და «ანგლობით» რომ ცდილობდენ ხალხისათვის თავის გაცნობას და ვიფიქრე: სჩანს მიუხედავად ყოველივე მის მიერ მას შემდეგ გადატანილისა, მასში კიდევ დარჩენილა ბოჰემის ნაშთი მეთქი. რადგან მხოლოდ ამგვარად აიხსნება, ჩვენებურ მაყარის მიერ შამფურზე წამოცმულ მწვადის თან წამოღების მომაგონებელი ეს სიმპატიური ქესტი.

განაარ შეიძლებოდა ამ მოყოლილი ამბის სულ სხვა გვარად წარმოდგენა და ინტერპრეტაცია თუკი კაცი მოვლენათა ანალიზის დროს ლოიალობას არ გამოიჩენს?

კაპიტალისტსა და მუშის შორის, რათქმა უნდა, განსხვავება არსებობს. პირველს თუ ორი ან სამი ავტომობილი აქვს, მეორეს მხოლოდ ერთი გააჩნია; პირველი აფრიკაში გაფრინდება შაბათობით სპილოზე სანადიროთ საწყალი მუშაკი კურდღლებზე ნადირობს. მდიდარი კაცი როცა მოეპრიანება მაშინ იღებს შვებულებას და ხან ინდოეთში, ხან სამხრეთ ამერიკაში, ხან ავსტრალიაში მოგზაურობს. მუშაკი როცა მისი ჯერი მოვა ჩასვამს თავის ცოლშვილს მანქანაში და ევროპაში მოგზაურობით უნდა დაკმაყოფილდეს. კაპიტალისტი ისეთ რესტორანებში დადის სადაც ერთი სადილი დაახლოებით იმდენი ღირს (100 ფრანკი) რამდენის წამოღების ნებაც ყოველ თქვენთაგანს მისცა მშრომელთა ოფლით მოპოვებულ მილიარდებს მთვარის მოსატაცებლად რომ ხარჯავს იმ მთავრობამ, როცა თქვენი ჯგუფი «ევროპის ეკონომიკის გასაცნობად» გამოაგზავნა. ხოლო მუშა ისეთ სასადილოში დადის რომელშიაც თქვენ დაგპატიჟეს და რომელიც მდიდრულად მოიჩვენათ ბატონო ბესო.

ბ-მა ეღენტმა სასტუმროში აღმოაჩინა «12-13 წლის» უბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დური ბავშვი, რომელიც სასტუმროში ბარგის ტარებით ირჩენს თავს, რადგან მას სწავლის საშუალება არა აქვს და რა თქმა უნდა, ესეც კაპიტალიზმის ბრალია. ვინმესთვის რომ განმარტება ეკითხა, მას ეტყოდნენ, რომ საფრანგეთში 14 წლამდე სწავლა ყველასათვის უფასო და სავალდებულოა, ხოლო რაც შეეხება სასტუმროში ნახულ ბავშვს, მის მშობლებს თითონა აქვთ საკუთარი სასტუმრო და მათი შვილი უფრო დიდ სასტუმროში ხელობასა სწავლობს. სხვა არაფერი. ქართულ შეხედულებისათვის გაუგებარ ამ მოვლენას ახსნა სჭირია. საშუალო ფრანგისთვის სწავლა სოციალურ საფეხურზე ასვლის საშუალებაა და არა თვითმიზანი, ასე რომ გლეხობის შეძლებულ ფენებშიც ბავშვების უმეტესი ნაწილი 14 წლის ასაკში სწავლას თავს ანებებს, რადგან თავიანთი ცხოვრების მატერიალურ გაუმჯობესებისათვის, მათ სწავლა საჭიროდ არ მიაჩნიათ. ამ შემთხვევაში ქონებაკი არა ცხოვრების თავისებური გაგება სწყვეტს საკითხს. საფრანგეთში გლეხს ვერ ნახავთ ერთი ავტომანქანა მაინც არა ჰქონდეს, მაგრამ ალბათ სანთლით საძებარია ისეთი ოჯახი შინ პიანინო იდგეს. და ეს საუბედუროთ იმას არ ნიშნავს თითქოს ქართველებში მუსიკალური კულტურა უფრო მაღალი იყოს ვიდრე ფრანგებში.

პარიზი რომ «გარყვნილების ბუდეა» ეს უკვე დალეპილი თემაა. საუბედუროდ ბ. ჟღენტი რასაც გვიამბობს იმისი ნახვის არც დრო და საშუალება არა ჰქონდა, თორემ ვაი რა სიამით ჩასძირავდა ბურჟუაზიულ ტკბილ წუმპეში. ეხლა კი იხგლისელ შინაბერასავით პურიტანულ სამოსელში გვეველინება. ეს მას რათქმა უნდა ცოდვათ არ ჩაეთვლება. «პიკანტური» რამეც ხომ უნდა უამბოს თავის მკითხველებს, ეტყობა ბულვარული ქანრის მოთხოვნილება ჩვენში კიდევ არსებობს. საიდან მოიტანა ბ. ჟღენტმა, რომ ლევან ზურაბიშვილი თავისი უპარტიობის გამო არის კოლონიის თავმჯდომარეთ არჩეული? ბ. ზურაბიშვილი თითონ არის ერთ-ერთ პოლიტიკურ დაჯგუფების დამაარსებელი და ერთი უაქტივესი მომუშავე იმ საქმეში, რომელსაც ბ. ჟღენტი დამამცირებელ ტერმინით რეაქციულ «გამოხტომებით» იხსენიებს.

ბ. ჟღენტმა რომელსაც დღევანდელ ქართულ კულტურის ასპარეზზე ფრიად მნიშვნელოვანი პოსტი უკავია, პარიზის ქართული ეკლესია ახსენა და ნაცვლად იმისა, რომ სინანულით ეთქვა, ოდესღაც მთელ მცირე აზია-აღმოსავლეთ ევროპაში გაბნეულ ქართულ ეკლესია-მონასტრების მაგიერათ დღეს საქართველოს საზღვრებს გარეშე პარიზის ქართული ეკლესია ერთად ერთი ადგილია, სადაც ქართულ ენაზე წირვა სრულდებაო. ეს ჩვენი ეკლესია სალაყბოდ გადაგვიქცია და თურმე ამ ეზოში. სადაც არც საჯდომია, არც სახურავი, პოლიტიკური კრებები იმართება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ნოზაძემ მას მანქანიდან შენობა აჩვენა და უამბო აქ პ. იაშვილმა კედელზე ესა და ეს დასწერაო. ეხლა ბატონი ჟღენტი ხალხს უამბობს: ამ წარწერამ ნახევარი საუკუნე გასძლო და კიდევ იკითხებაო. უბედურებაის არის რომ შენობის რესტავრაცია ბ. ჟღენტის მოგზაურობის დროს ახალად დამთავრებული იყო. ასე რომ თუნდაც იგი იმ კედელთან მისულიყო, იმ წარწერას რა თქმა უნდა ვერ ნახავდა. აქ კი გ. ნოზაძეს ხალხი ეკითხება ჩვენ რატომ არ გვიჩვენე ის წარწერაო.

ბ. ჟღენტს რაღაც დემონსტრაცია უნახავს და რათქმა უნდა ზღაპრულ კომენტარიებს აკეთებს «პოლიცია უძლური აღმოჩნდა დემონსტრაციის მებრძოლი პათოსი შეეხელებინაო». პოლიცია უძლური კი არ აღმოჩნდა, არამედ მას ნება არა აქვს ასეთ დემონსტრაციას წინააღუდგეს. რაც ბ. ჟღენტმა ნახა ეს იყო მაგალითი იმისა თუ რამდენად რეალურია აქაური თავისუფლება და არა მხოლოდ ქაღალდზე დაწერილი, როგორც საბჭოეთში.

ემიგრანტულ კულტურულ მოღვაწეობას სერიოზული ხარვეზი ჰქონია: ჩვენ ვერ მოგვიხერხებია ქართული კულტურის ძეგლები თარგმანის საშუალებით უცხოელებისათვის გაგვეცნო. ქართული ემიგრაცია პოლიტიკური ემიგრანტებისაგან შესდგება და კულტურული მოღვაწეობა მის პირდაპირ მოვალეობას არც შეადგენს, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ასეთ მუშაობას ფრიად დიდი სახსარი სჭირდება, რაც აქაურმა ქართველობამ თავისი ღარიბი ჯიბიდან უნდა გაიღოს, ამ საქმეში ყოველ შემთხვევაში ღარიბმა ემიგრანტებმა მეტი გააკეთეს ვიდრე საქართველოს სახელმწიფომ და მისმა კულტურულმა ძალებმა, თქვენი მწერალთა კავშირის ჩათვლით.

ემიგრანტთა ფულით და შრომით გამოიცა ვეხის ტყაოსანი, სიბრძნე სიცრუისა, ვისრამიანი, ორტომეული ქართული გრამატიკისა და ქრისტომატიისა, ყაზბეგის «მოძღვარი», ჯავახიშვილის «ჯაყოს ხიზნები» და სვხა. არც ჟურნალ «ბედი ქართლისა»-ს ბადალს ვიცნობთ ჩვენ «სუვერენულ» საქართველოში გამოქვეყნებულს. ხოლო ვეფხის ტყაოსანის მეორე თარგმანიც აქედან ჩასულმა წულაძემ შეასრულა. და იგი როგორც ვიცით, ქართული სახსრებით კიარ გამოცემულა, პირიქით მთარგმნელმა აქაური პრემია მიიღო. რაც შეეხება გამსახურდიას დიდ ოსტატის მარჯვენას, ჩვენი დაბეჩავების ნიშანია, რომ ავტორს მისი ნაწარმოების თარგმანის მეტი კონტროლის საშუალება არ მიეცა. თორემ ქართული რომანი განა რუსული თარგმანიდან უნდა გადათარგმნილიყო? ან ამ წმინდა კულტურული საქმის, ისეთი პოლიტიკური ჟურნალის ხელში ჩაგდება როგორიც «ლ უმანიტეა» ამ წიგნის მკითხველთა წრეს რომ წინასწარ კომუნისტებით საზღვრავს, ეს ვინ არ იცის.

ზეპირი და უსაბუთო მტკიცებაა, თითქოს ემიგრაციაში ლიტერატურა საერთოდ ვერ გაიფურჩქნება. თუ პარიზული ჟურნალი კავკასიონი დიდ მხატვრულ სიმაღლეზე ვერა დგას, ამის უბრალო მიზეზი ის არის, რომ ამ ჟურნალის თანამშრომელთა დიდი უმრავლესობა მხოლოდ «მოყვარულებია» და არა პროფესიული მწერლები. თორემ მთელი რიგი არსებობს სხვადასხვა ეპოქებში მცხოვრებ მწერალთა, ანტიკურ დროიდან მოყოლებული დღევანდლამდე, რომელთაც შედევრები შეუქმნიათ. მხოლოდ ქართულ მაგალითებზე რომ შევჩერდეთ: არც ზუბოვკა და არც ათონი საქართველოში არ მდებარეობენ.

ამ წერილის მიზანი ბ. ქლენტის მიერ სიმართლის გაყალბებათა აღნუსხვა არ არის. როგორც დასაწყისშია აღნიშნული, ეს თვისება მთელს საბჭოთა საზოგადოებას ახასიათებს. ჩვენი მიზანია შეეებრძოლოთ მხოლოდ იმ სავალალო შედეგებს, რომელთა მოტანაც ბ. ქლენტის წერილს შეუძლია.

დაპყრობილი ერის თვალში ემიგრაციას ყოველთვის მომხიბლელი და სიმპატიით შემოსილი სახე აქვს. ეს მოვლენა მით უფრო მეტი სიძლიერით ხდება რამდენად მეტად გაძნელებულია, მონობაში დარჩენილ ხალხსა და თავისუფალ ქვეყანაში გახიზნულ ემიგრაციას შორის ურთიერთობა. ხალხს უყვარს გახიზნული მისი შვილები, რომელნიც ქვეყნის შელახულ უფლებათა აღდგენისათვის ზრუნავენ. ხალხი ამ გახიზნულებზე მეტ იმედს ამყარებს ხოლმე, ვიდრე ნამდვილი ვითარების ცოდნის შემთხვევაში დაამყარებდა, რადგან გახიზნულსა და უცნობის გარშემო მუდამ მითი და ლეგენდა ითხზება. იმედის შენარჩუნების ეს წყარო, თუნდაც რომ სრულებით რეალობას მოკლებული იყვეს, დამონებულ ხალხისათვის დიდი შეღავათის და დიდი პრაქტიკული სარგებლის მომტანია. რადგან იმედი გამძლეობის ერთი მთავარი ელემენტია.

აი ამ იმედის შესუსტებას ემსახურება ბ. ქლენტის მიერ ნებით თუ უნებლიეთ გამოთქმული ყველაზე მავნე შემდეგი სიყალბე:

«უკანასკნელ წლებში უცხოეთში მცხოვრებ ჩვენ თანამემამულეთა დიდი უმრავლესობის აზროვნება განწყობილებაში სერიოზულ ძვრებსა და ცვლილებებს აქვს ადგილი. შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ ამ ჟამად პარიზში არსებითად აღარც კი არსებობს ქართული პოლიტიკური ემიგრაცია.»

შესაძლებელია აქ საქმე გვქონდეს გაუგებრობასთან, რომელიც გამოწვეულია ჩვენი და ჩვენი სტუმრების ორმოცი წლის განმავლობაში სხვადასხვა პირობებში გატარებულ ცხოვრების შედეგად შექმნილ, ერთი მხრივ სხვადასხვა გვარ საქციელთან, და ამა თუ იმ მოვლენის სხვადასხვა გვარად გაგებასთან. ნუ თუ ბ-ნ ქლენტს ჰგონია რომ რაკი ჩვენ იქაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეჟიმის წინააღმდეგი ვართ და რაკი აქ ამის თქმისა და გამომჟღავნების უფლება გვაქვს, ყოველ მისაღებ თუ მიუღებელ ადგილას ამაზე ვიყვირებთ და იქიდან ჩამოსულს ყელში ვეცემით, როგორც ამას იქ გაბატონებული «მორალი» მოითხოვს.

ყოველ ემიგრანტს მშვენივრად ესმის ის სიძნელეები და შეზღუდვები, რომელნიც საქართველოდან ჩამოსულ ტურისტებს წინ ეღობებიან და თანა სდევენ. ჩვენ ვიცით რომ რამდენად «უმტკივნეულოდ» ჩაივლის ჩვენთან შეხვედრები, იმდენად ნაკლებად გაძნელდება მათი განმეორებაც. და რადგან ჩვენი გულწრფელი სურვილია—როგორც ჩვენდა ასევე ჩამოსულთა სასიხარულოდ—ტურუსტულ ჯგუფთა ჩამოსვლა რამდენადაც შეიძლება უფრო ხშირი იყოს, პარიზელ ქართველთა შორის დაუწერელ კანონიერით მიღებულია ჩამოსულ ხალხთან პოლიტიკაზე საუბარი ავიცდინოთ.

აი ამ შეკავებულ თავდაპერის შედეგი უნდა იყოს ის შთაბეჭდილება რომელიც ბ-ნ ელენტს მიუღია და რომელსაც «აზროვნებაში მომხდარ ძვრებს» უწოდებს.

მართლაც რომ სხვადასხვა გვარი კონცეპცია უნდა გვქონდეს. მონობასთან შერიგებას და უცხო მოძალადის შორჩილებას, თუ ეს მოხდებოდა, «აზროვნებაში მომხდარი ძვრები» თუ პირიქით, აზროვნების დაჩლუნგება ე. ი. უძრაობა დაერქმეოდა. როგორ შეიძლება კაცი თავისუფალი იყოს და აზროვნება სხვის ბრძანებას დაუმორჩილოს. როგორ შეიძლება კაცს სამშობლო უყვარდეს და უცხოელთა მიერ მის დამონებას შეურიგდეს.

მაგრამ ბ. ელენტმა რაიცის ჩვენებრი სამშობლოს სიყვარულისა, მას იგი არასდროს დაუკარგია,—ან თავისუფლების გამოყენებისა, მას იგი არასდროს ჰქონია.

პარიზის ქართველთა შორის ჯერ არც ერთ პირს არ ვამოუთქვამს ისეთი აზრი რომლის მიხედვით შეგვეძლო გვეფიქრა ბ. ელენტის მტკიცების საფუძვლიანობა. არც ერთი ქართველი აქ ისე არ მომკვდარა, რომ სიკვდილის წინ არ ეფიქროს «მე ვერ მოვესწარი მაგრამ სხვები მოესწრებიან»-ო და ვაი იმ ქართველს ვინც თავის ფიქრში დაუშვებს. საქართველოს რუსთა მიერ პყრობის მარადისობას.

აქედან თავისთავად გამომდინარეობს: ემიგრაციაში მყოფ ქართველების შეხედულება ამ საკითხის მიმართ იოტის ოდენადაც არ გამოცვლილა, რადგან არ გამოცვლილა ის პირობები რომელთაც ხსენებული შეხედულება შექმნა: საქართველო კვლავ დაპყრობილია, თავისუფლების დაბრუნებისათვის ზრუნვის შეწყვეტა შეუძლებელია, და «დღეს იქნება თუ ხვალ იქნება ქართლს მიატოვებს რუსთ ხელმწიფება».

ეს რომ ასე არ იყოს სად გაგონილა «ათიოდე მკითხველისათვის» იცემოდეს რამოდენიმე ჟურნალი, როცა ყოველი

მათგანის ტირაჟი ათასი ცალია? ან საერთოდ აქ რას უზის ამ-დენი ხალხი თუ კი მათ საქართველოს დღევანდელი მდგომა-რეობა ნორმალურად და დამაკმაყოფილებლად მიაჩნია—რის მაჩვენებელია, რომ ვიქტორ ნოზაძე ამ გადახვეწილობაში მძიმე პირობებში მუშაობით მეცნიერულ ნაწარმოების ტო-მებსა სცემს. განა მას აწყენდა ამ შრომებისათვის ჰონორა-რის მიღება? ან მისი მეცნიერული ნაყოფიერება იქ საქართ-ველოში უფრო დიდი არ იქნებოდა?

ჩვენ აქ იმისათვის ვიმყოფებით, რომ ვემსახუროთ საქმეს რომელს ჩვენი გაგებით ქვეყნისათვის თავდადება, ხოლო ზო-გიერთის გაგებით «გამოხდომა» ეწოდება; ქართული ემიგრა-ცია კვლავ ასე განაგრძობს და ღმერთი ჩვენს ქვეყანას ისეთ დაცემას არ არგუნებს, რომ მას მისი თავისუფლებისათვის მებრძოლი შვილები დაელიოს.

ჩვენ ვიცით რომ ჩვენში საზოგადოებრივ ცხოვრების პი-რობები მძიმეა, მაგრამ სულ იმის ძახილიც არ შეიძლება «რა ვქნათ, რუსი მოგვერია»-ო. თუ გმირობა ყველას არ მოეთხო-ვება, არც უკიდურესი ძაბუნობაა სავალდებულო. გამარჯვე-ბული რუსები ქართველთაგან მორჩილებას მოითხოვენ. მაგ-რამ რუსული ჩექმის ლოკვა არც ერთ პროგრამაში არა სწე-რია. არც ის არის სავალდებულო, რომ თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ, ისტორიულ მოვლენას, რომელსაც რამდე-ნიმე ათასი კაცი შეეწირა, აჯანყების ნაცვლად, კაცმა, ვინ-ც ულირსი რეგვენის მიერ ოდესღაც შერქმეული «აგვისტოს ავანტიურა» უწოდოს. რომელ რუსს მოუვიდოდა აზრათ გრ. რობაქიძის დასამცირებლად სიტყვები «ქართლის ცხოვრე-ბა»-ში ვძებოს: «საშობლოსაგან განგდებული» ო. საშობ-ლოს განუდგა გრ. რობაქიძე თუ მის დამპყრობლებს, ბატო-ნო ბესო? ვინ გაავალებთ ქამთაღმწერელის ტერმინოლოგია აგიტპროპის სამსახურში რომ შეიყვანოთ?

ყოველივე ამის შემდეგ ყველა იმათ საყურადღებოთ, ვი-საც კი ჩვენში თვალსაჩინო პოსტი უკავია ერთი ურიული იგავი მინდა მოვიყვანო:

ერთი ურია თავის ცოლთან ერთად გზად მიმავალი, ავა-ზაკებმა გაძარცვეს და ცოლიც გაუუპატიურეს. საწყალი სა-ლოწარკვეთილებას მიეცა. ცოლმა ნუგეშისცემა სცადა და ასე უთხრა: თავს ნუ მოვიკლავთ. რაც შეგვემთხვა ღმრთისა-გან მოგვივიდაო. ქმარმა მწარედ გაიღიმა და უპასუხა: ღმერ-თმა რაც გვიყო მეც ვიცი, მაგრამ შენ რომ შენს ნამუსის ამ-ხდელებს ვნებით კოცნიდი ისიც ღმერთმა გვიყო განაო?

ჩვენს ქვეყანას რომ დამპყრობთა ბრალით დიდი ვაება შეემთხვა—ყველასათვის ცნობილია. მაგრამ ამ უბედურ ხა-ნაში მტრის მიმართ ვინ როგორ იქცევა. ეს სხვა ამბავია.

შ. ქავთარაძე.

ორი უგუნური გამოსვლა

ამ უკანასკნელი წლების მანძილზე, მეტად საკვირველსა და ოდიოზურ მოვლენებს აქვს ადგილი, საქართველოისა და ქართველი ერის პოლიტიკურ სინამდვილეში:

საქართველოს კომუნისტური მთავრობის მეთაური ან წევრნი, დამპყრობელი რუსეთის მთავრობისაგან მიღებული განკარგულებისა და ბრძანების თანახმად, სრულის მონა-მორჩილებით ივიწყებენ იმ მეტად მნიშვნელოვან ეპოქას, როცა ქართველმა ერმა, 117 წლის მონობის შემდეგ, აღიდგინა ეროვნული თავისუფლება, შექმნა საკუთარი მთავრობა, კანონმდებელი ორგანოები და თავისუფალი-დამოუკიდებელი სახელმწიფო დააფუძნა; მოიპოვა ფაქტიური და იურიდიული ცნობა, მსოფლიოს დიდი და პატარა სახელმწიფოებისა და მათ შორის, თვით რუსეთის საბჭოთა მთავრობის მიერ და მსოფლიო სახელმწიფოთა ოჯახის სრულუფლებიანი წევრი გახდა.

ივიწყებენ, რომ თავისუფალ საქართველოს სახელმწიფომ, რამოდენიმე ომიც ჩაატარა შინი მიწა-წყლის დასაცავად ოსმალეთისა თუ სამხრეთით მდებარე სახელმწიფოთა და თვით საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, რომელმაც ქვამეხებისა და თოფის ცეცხლით გადასწვა და ზღვასისხლში ჩააცრჩო, უსწორო-ძალთა ომში დამარცხებული საქართველო და მისი თავისუფლება. ივიწყებენ, იმასაც, რომ ხელახლად რუსეთის მიერ დაპყრობილმა ქართველმა ერმა, პირველი სამიწლის მანძილზე რამოდენიმე კუთხური და ბოლოს მთლიანი ეროვნული აჯანყება მოაწყო დამპყრობელთა წინააღმდეგ, რომელთაც რამოდენიმე ათასი ქართველი შეეწირა, ციხეთა სარდაფებში, ბრძოლის ველზე, თუ რუსეთის ციმბირეულ ნებში გადასახლებულნი. ივიწყებენ, იმასაც, რომ ეროვნული აჯანყების შემდეგ ათი წლის განმავლობაში რამოდენიმე შეთქმულება აღმოაჩინეს და საუკეთესო მამულიშვილთა ათეულები.— ცნობილ მწერალთა, პროფესორთა, სამხედრო მეთაურთა— წამებრივის სიკვდილით სიცოცხლეს გამოასალმეს.

დაბოლოს ივიწყებენ იმასაც, რომ ქართველ ძველ კომუნისტთა მთელი პლეადა, რომელიც საბჭოთა რუსეთის ჯარებს წინ მოუძღოდა და სამშობლო დააპყრობინა, რომელიც სინიდისის ქეჯნამ ქართულ-ეროვნულ ნიადაგს დაუბრუნა, ეროვნული თავისუფლებისაკენ გადაიხარა, ეროვნულ «უკლონიზმი»-ს პოზიციაზე დადგა და მოინდომა ერისათვის ოდნავი თავისუფლების დაბრუნება, თითქმის მთლიანად გახდა მსხვერპლი, მათ მიერ ჩადენილი მომაკვდინებელი შეცდომისა და დახვრეტილ იქმნა რუსების მიერ. მათ თავიანთი სიცოცხლით აგეს პასუხი ერისა და სამშობლოს წინაშე, ოდნავ მაინც გამოისყიდეს, მათ მიერ ჩადენილი მომაკვდინებელი დანაშაული.

წარმოუდგენელია და დაუჯერებელიც, ყველა ეს ისტორიული ამბები და ფაქტები არ ახსოვდეს, თუგინდ მამათაგან ნაამბობი მაინც იმ თაობას, რომლის წარმომადგენლებმა შესცვალეს კომუნისტური პარტიის ძველი თაობის კადრი და დღეს მოსკოვის მიერ დანიშნულნი, ადგილობრივი მოურავის უფლებებით, მოსკოვისავე ბრძანებით, ვითომდა თავისუფალ-საქართველოს ყოფა-ცხოვრებას განაგებენ, და ქართველი ერისა და ხალხის სახელით ლაპარაკობენ.

«ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში»,— ბრძანებს საქართველოს ს. ს. რ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ ნი გ. ძოწენიძე, «ისევე როგორც ყოველი სხ. ხალხის ისტორიაში, არის დაუვიწყარი თარიღები. ზოგის მოგონება ტკივილს გვრის, თვალწინ წარმოგიდგება დანგრეული და გაპარტახებული ჩვენი ქვეყანა, ქართველი მეომრების გააფთრებული ბრძოლები უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. სხვა თარიღების მოგონება გულს აღავსებს სითბოთი, სიხარულით და სიამაყით. ასეთ განსაკუთრებით სასიხარულო თარიღებს მოგრის არის 1921 წლის 25 თებერვალი, დღე, რომელმაც საქართველოს მოუტანა, თავისუფლება, დამოუკიდებლობა და ბედნიერება. ეს არის დღე, როცა ქართველმა ხალხმა თავისი უძველესი მეგობრის—დიდი რუსი ხალხის—დახმარებით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა». («სამშობლოს ხმა» 1965 წ. იანვრის ნომერი).

ღმერთო ჩემო!... რაშია საქმე? ნუ თუ წაკითხულის გაგების უნარი დავკარგე?! გონებას არა სჯერა თვალის. რამოდენჯერმე ხელახლად გადავიკითხე გულდასმით. იგივე ამბავია. დავიბენი. მართლაც აუხსნელი მოვლენის წინაშე დავდექი. თავი სიზმარში მგონია. დაბოლოს ერთი ფრანგი მომეშველა და მითხრა: «ne cherche pas a comprendre. მაგრამ, მე ხომ ფრანგი არა ვარ. მაინც ვცდილობ დაკინებით წაკითხულის გაგებას, ამაოა. მაგონდება კომუნისტური პოლიციის გამოგონება, რომელიც იმ წაწყმედილ რეჟიმში ხშირ მოვლენას წარმოადგენს: Lavage de cerveaux, რომელიც ადამიანს მეხსიერებას უკარგავს. მაშ სხვაგვარად, როგორ ავხსნა ეს ფრიად ანორმალური მოვლენა.

მართლაც რომ, გონიერი და ჭკუადმყოფი ადამიანისათვის, წარმოუდგენელი, დაუჯერებელი და ოდიოზურზედ-ოდიოზური ამბავია, რომლის ბადალი-ნიმუში უთუოდ არ მოიპოვება «ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში». ნუ თუ სულით ავადმყოფთა სახლი არ არის ამ კურთხეულ ქვეყანაში, რომ ეს საბრალო ადამიანი, «თავისუფალი და დამოუკიდებელი» საქართველოს ეს ერთ-ერთი მეთაური შიგ მოათავსონ და განკურნონ!?

«ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში» მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთლაც რომ მრავალი თარიღია, ქართველი მეომრების უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ გააფთრებული ბრძოლებისა, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღვრილი წმიდა სისხლით ჩაწერილი; ერთ-ერთი დაუვიწყარი თარიღია სწორედ ის 1921 წლის 25 თებერვალი, რომელმაც საქართველოს მოუტანა თავისუფლების, დამოუკიდებლობის დაკარგვა და თავს დაატეხა გლოვის ზარი და უბედურება. და ეს მოხდა, თქვენი სიტყვით რომა ვსთქვათ «უძველესი მეგობრის დიდი რუსის ხალხის». წითელი ჯარების საქართველოში შემოჭრით, თქვენი, კომუნისტური პარტიის გაბრიყვებული მეთაურების წინამძღოლობითა და მეგზირეობით, ბატონო ძოწენიძე.

აი რა მოვლენა არის, დათარიღებული, 1921 წლის 25 თებერვლით, რომელმაც თქვენის ავტორიტეტული სიტყვით, «საქართველოს თავისუფლება, დამოუკიდებლობა და ბედნიერება მოუტანა». ამ თარიღის მოგონება თქვენს გულს აღავსებს სითბოთი, და სიამაყით. ბარაქელა თქვენს ქართველობასა და მამულისშვილობას! ქართველი ერის მკერდზედ კი. 1921 წლის 25 თებერვლის თარიღი, იმ უსწორო ბრძოლებში, ქართველ მეომართა მიერ დაღვრილი სისხლითა და მათ დედათა ცხელი ცრემლებით არის აღბეჭდილი და დაკოდვილი გული მისი ცივი სუსხით იყინება, აღვსილია გოდებითა და მწუხარებით და ამავე დროს სამშობლოს უკეთესი მომავლის ურყევის რწმენითა და იმედით. თქვენთვის ეს თარიღი «საქართველოს გაზაფხულია», ჩვენთვის კი—საქართველოს სუსხიანი თებერვალია და ზამთარი. თქვენ, თქვენი «უძველესი მეგობრის რუსის ხალხის» და რუსეთის ნებით თუ უნებლიეთ მეგობარი და პატრიოტი ხართ, ჩვენ კი თქვენის წყალობით მათ მიერ დაპყრობილი საქართველოსი და ქართველი ერისა.

აი განსხვავება თქვენსა და ჩვენს შორის ცდომილო თანამემამულე!

რაც შეეხება იმ თქვენს ეკონომიურ წინსვლას, რომლის შესახებ თქვენა ბრძანებთ თქვენს «საქართველოს გაზაფხულში». ამის შესახებ ამომწურავი წინასწარი პასუხი გაგეცით, ჩვენს წინა წერილში (იხილეთ «ივერია»-ს მე-11 №). მაგრამ, ორიოდე სიტყვით გვინდა ისევ მოგახსენოთ; ბრძანებთ «ელმავლების წარმოების მხრივ საქართველომ საფრანგეთს გაუსწროო»-ო.

საფრანგეთის რკინის გზის ლიანდაგზე ჯერ არ გვინახავს თქვენი ელმავლები. ის კი ვიცით. რომ ორი წლის წინ, საფრანგეთში—სახელდობრ, ბელფორის ორთქლმავლის სახელოსნომ, რამოდენიმე ორთქმავლის შეკვეთა მიიღო, დაამზადა და ჩააბარა. ამისათვის საგანგებოდ ჩამოსულ. თქვენს ტექნიკოს ინჟინერთა კომისიას. ელმავლებს თუ ამზადებთ საფრანგეთზე მეტს, აქედან რათ მიგაქვთ ორთქლმავლები?

ბრძანებთ «საქართველოში ყოველწლიურად აწარმოებენ 11 მილიონამდე წყვილ ფეხსაცმელს; 55-ჯერ მეტს ვიდრე 1927—1928 წლებში. 22 მილიონ მეტრზე მეტ აბრეშუმის ქსოქსოვილებს..... 50 მილიონამდე მეტრ ბამბისა და 5 მილიონ მეტრზე მეტს შალის ქსოვილებს» ო. «მრეწველობის ასეთმა განვითარებამ საშუალება მისცა საქართველ ოს აქ გამომუშავებული პროდუქციის ნაწილი გაგზავნოს ს.ს.რ. კავშირის ყველა რესპუბლიკაში და საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში» ო.

«ფიცი მწამს, მაგრამ ბოლო მაკვირვებს».

ვიმეორებ, მაგრამ მაპატიეთ. ნათქვამია «ყრუსათვის ორჯერ არა რეკავენ. მაგრამ თქვენ გვაიძულებთ კიდევ ერთხელ დავრეკოთ.

თქვენგან გამოსული არავინ გვინახავს ფარჩა-აბრეშუმისა და შალის ქსოვილებით შემოსილი. თქვენი საუკეთესო ახალგაზრდები, ცეკვისა და მომღერალთა გუნდი, მუსიკოსები—ქალი თუ კაცი, რომელნიც თავიანთი არტისტიული უნარითა და ტალანტით სახელს უხვეჭავს ქართველ ხალხს მეტად ღარიბულათა და პრიმიტიულათ არიან შემოსილნი.

იქნებ მართალია, როფორც თქვენა ბრძანებთ, ამზადებთ მაგ რაოდენობის ფეხსაცმელს, ბამბის, მატყლისა და აბრეშუმის ქსოვილებს. მაგრამ ვისთვის ან რისთვის. გაგონილა რომ 11 მილიონი წყვილი ფეხსაცმელი არ ეყოს 4 მილიონ ადამიანს? იქნებ მართალია, როგორც ბრძანებთ, რომ მანდ გამომუშავებულ პროდუქციის ნაწილს გზავნით ს. ს. რ. კავშირის სხვა რესპუბლიკებში და საზღვარგარეთაც, რომ ხორბალი, სიმინდი და ქართოფილი შემოიტანოთ და მოსახლეობა სიმშილით არ ამოწყდეს.

ასეთია ბედი ყოველი ხალხისა, რომელიც ეროვნულ თავისუფლებას დაჰკარგავს და დამპყრობელის კოლონიად იქცევა აი «თავისუფლება-დამოუკიდებლობა და ბედნიერება» იმ საქართველოსი, რომლის ერთერთი მეთაური თქვენა ბრძანდებით ბ-ნო ძოწენიძე!

ასეთი «ჭინკის ზღაპრები», რომ მხოლოდ ჩვენთვის «საბრალო, მაწანწალა და მოხეტიალე» ემიგრანტებისათვის იწერებოდეს, ჩვენი გათვითცნობიერების მიზნით გამოცემულ «სამშობლოს ხმის» ფურცლებზე, ყურადღებასაც არ დავკარგავდით, ხელს ჩავიქნევდით და ხარაბუზებს მოვიგერიებდით. ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართული ემიგრაცია არც ისეთი მდაბიო მეგნებისაა, რომ ასეთი აბდაუბდა ლათაიებით გვასაზრდოონ და მოგვატყვილონ.

მაგრამ უბედურება ისაა, რომ ამდაგვარი ანალოგიური ზღაპრებით ჰკვებავენ ეს ვაჟბატონები საქართველოში საექსკურსიოთ ჩასულ უცხოელებსაც.

ასეთი მაგალითები მეტად ხშირია. ჩვენ აქ, სანიმუშოდ

აღვნიშნავთ, მხოლოდ ერთ უკანასკნელთაგანს: გასული წლის დასაწყისში საქართველოში იმოგზაურა «საფრანგეთ-URSS-ის საზოგადოების» ერთერთმა თავმჯდომარე ბ-ნ რენე კაპიტანმა, რომელიც დიდი ტრიუმფით იქნა მიღებული თბილისში «კულტურულ და მეგობრულ საზოგადოებათა კავშირის» მიერ, რომლის თავმჯდომარეა საგარეო საქმეთა (უფრო სწორად რომ ვსთქვათ ს. ს. რ-ის ფედერაციის კონსტიტუციის თანახმად—საქმეთა გარეშე) მინისტრი ბატ. არჩ. გიგოშვილი.

ბ ნ რენე კაპიტანმა, საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ, ვრცელი წერილი უძღვნა საბჭოთა საქართველოს. და აი რასა სწერს:

«დასავლეთ ევროპისა და განსაკუთრებით ლუი მე-XIV-ისადმი მომართვის შემდეგ საქართველო, მე-XVIII საუკუნის ბოლოს, დადგა რუსეთის მფარველობის ქვეშ, ეკატერინე მე-II-ის მეფობის დროს. მე-XIX საუკუნეში რუსეთის იმპერატორმა მისი ანექსია მოახდინა და რუსეთის იმპერიას შეუერთა. დღეს ის რუსეთის საბჭოთა ფედერაციის ერთ-ერთი რესპუბლიკაა. საქართველოს რესპუბლიკა, ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ რა არის საბჭოთა ფედერალიზმი. გარკვეულად, უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის ფედერაცია არ ატარებს არავითარ ნიშანწყალს, რუსეთის მიერ საქართველოზე დომინაციისა და ასიმილიაციისას. იტყვის გარეშეა, რომ ეს ორი რესპუბლიკა (რუსეთისა და საქართველოსი) ურთიერთისადმი დაკავშირებულნი არიან ფედერაციის მაგარი ძაფებით, რომელიც კიდეე უფრო გამაგრებულ-გაძლიერებულია, კომუნისტური პარტიის ერთობით. იტყვს გარეშეა, რევოლუციის მძაფრი სიმკაცრით, ინტელექტუალთა კლასი მეტის-მეტად დაზარალდა: საუკეთესო პოეტები დახოცილ იქმნენ. მაგრამ ამით არ შეიძლება ითქვას რომ ადგილი ჰქონდა ან ახლა აქვს ადგილი დიდი რუსეთის დომინაციას ჰატარა საქართველოზე. ამ მოსაზრებითა და გამართლებით შეუძლებელია ითქვას, რომ საქართველოში ადგილი ჰქონდეს რუსეთის იმპერიალიზმსა და კოლონიალიზმს. ის ფაქტი, რომ ქართველი ჯუღაშვილი-სტალინი შეუბრალებელი მეთაური და შეფი იყო რუსეთის საბჭოთა კავშირის, ყოველ ასეთ ბრალდებას აბათილებს».

«საქართველოს სასოფლო მეურნეობის კოლხოზები განსაკუთრებით ჩაის, მებოსტნეობისა და მეღვინეობის დარგში, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. ესენი არიან მთელი რუსეთის ბაზარზე უმთავრესი მიმწოდებლები»-ო. დასძენს ბ-ნი რენე კაპიტანი.

ბ-ნი რენე კაპიტანი ფრანგია, შვილი იმ კეთილშობილი ერისა და ქვეყნის, რომელმაც საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დამარცხებისა და დაპყრობის შემდეგ, მიიღო—შეიფარა, მორალური და მატერიალური დახმარება აღმოუ-

ჩინა, სამშობლოდაკარგულ ქართველობას, თუ შეიძლება ითქვას. სამშობლოსნაცვლობა გაუწია, და საშუალებას აძლევს დაკარგული ეროვნული თავისუფლების აღდგენისათვის იმოქმედოს; დიდის თანაგრძნობით ეჭცევა, ქართველი ხალხის მიერ ეროვნული თავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებს. ეს კეთილშობილური მოვლენა, ჩვენც მორალურად გვაკალდებულებს, კეთილშობილადვე მოვექცეთ, მისდაუნებლიეთ შეცდომაში შეყვანილ მის შვილს. მაგრამ ნებას მივცემთ ჩვენს თავს, ჩვენი ქართველი ხალხისა და იმავე დროს ფრანგის დიდი ღირსება-კეთილშობილების დაცვის ნიშნის ქვეშ, სიტყვა შეუბრუნოთ და ღირსეული პასუხი გავსცეთ ბ-ნ რენე კაპიტანის შეუფერებელ გამოსვლას.

ბ-ნი რენე კაპიტანი, თუ მეტი არა «კაპიტანია» «საფრანგეთ U.R.S.S-ის საზოგადოების». ცხადია, მას ამისდა შესაფერი სოციალ-პოლიტიკური შემეცნება გაგება აქვს და აქედანვე გამოდის. მის მიერ რუსეთის სინამდვილისა და მოვლენების დაფასებაც. მან მეტად მჩატე «თვითფრინავით», მიმოფრინა საქართველოს, სქელი ღრუბლებით დაფარული, ეროვნულ-პოლიტიკური სინამდვილე და იმდენადვე მჩატედ დაფასა. ვერ ჩასწვდა ფრანგულის სიღრმით, ჩვენი ხალხის მდგომარეობასა და არსებულ მწარე სინამდვილეს. მას გონების მხედველობიდან გამოეპარა. რუსეთის რევოლიუციის პირველი წლები. და განსაკუთრებით საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს აღდგენა; მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოს მთავრობათა მიერ მისი «დეფაქტოთა და დეიურედ» ცნობა; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის. მსოფლიო სახელმწიფოთა რიგში სწორუფლებიანი ჩადგომა და არსებობა; და რაც მთავარია, საბჭოთა რუსეთის. წითელი ჯარების მიერ, საქართველოზე მზაკვრული თავდასხმა. რაც ქართველი ხალხის დამარცხებით დამთავრდა; რასაც ქართველი ხალხის რამოდენიმე და განსაკუთრებით 1924 წლის აჯანყება მოჰყვა. ყველა ამ მოვლენებმა, საკმაო გამოძახილი ჰპოვა უცხო ქვეყნებისა და განსაკუთრებით საფრანგეთის პარლამენტის სხდომებზე თუ ყოველი მიმართულების ფართე პრესაში. არ შეიძლება ეს მოვლენები არა სცოდნოდა ბ ნი კაპიტანის ხნოვანობისა და პოლიტიკური მდგომარეობის კაცს.

«საქართველოს რესპუბლიკა, ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ რა არის საბჭოთა ფედერალიზმი. გარკვეულად—უყოყმანოდ შეიძლება ითქვას. რომ რუსეთის ფედერაცია არ ატარებს არავითარ ნიშანწყალს, რუსეთის მიერ საქართველოზე დომინაციისა და ასიმილიაციისას. იპვს გარეშეა. რევოლიუციის მბაფრი სიმკაცრით. ინტელექტუალთა კლასი მეტისმეტად დახარალდა: საუკეთესო პოეტები დახოცილ იქმნენ. მაგრამ ამითაც არ შეიძლება ითქვას, რომ

ადგილი ჰქონდა ან აქვს დიდი რუსეთის დომინაციას პატარა საქართველოზე». იმეორებს ბ-ნი კაპიტანი, მისი აზრისა და დებულების გასაძლიერებლად. (ალბად თავადაც იჭვი ეპარება მისი შეხედულების სიმართლეში).

საქართველოში არსებულ რეალობაში გარკვევა, თუ ძნელი იყო ასეთი ხანმოკლე ზეგადაფრენის დროს, მას რომ ჩაეხედა საბჭოთა რუსეთის ან საქართველოს კონსტიტუციაში, დაინახავდა თუ რა უფლებას ანიჭებს იგი საქართველოს საბჭოთა-სოციალისტურ რესპუბლიკას, რომელსაც ართმეული აქვს ყოველივე უფლება, შინაური თუ საგარეო პოლიტიკისა, რომელიც ნორმალურ ფედერაციაში შემავალ ერს უნდა ქონდეს; დაინახავდა რომ საქართველოს შინაური და საგარეო პოლიტიკის ყოველი მნიშვნელოვანი დარგის გამგე და მმართველი რუსეთია.

ბ-ნი კაპიტანი რომ საქართველოს მოსახლეობის წინანდელ და ახლანდელ სტატისტიკას, ოდნავ მაინც, გაცნობოდა დაინახავდა, თუ როგორ ზომებს ღებულობს საბჭოთა რუსეთის, უფრო სწორად რომ ვსთქვათ, ველიკორუსეთის მთავრობა, ქართველი ხალხის რასიულ-ეროვნულ გადაგვარების მიზნით: ქართველების, რუსეთში გადასახლებისა თუ სამუშაოთ გადაყვანის გზით და მათ ნაცვლად საქართველოში, რამოდენიმე ასი ათასი რუსისა თუ სლავიანის ჩასახლებით. «დომინაცია» და «ასიმილაცია» წმინდა ფრანგული სიტყვებია და გარკვეულ შემეცნების თერმინებია, რომელნიც ქართველი ერისა და საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას ზუსტად უდგება და გამოსახავს.

«იჭვის გარეშეა, რომ ეს ორი რესპუბლიკა (რუსეთისა და საქართველოსი) ურთი-ერთისადმი დაკავშირებულნი არიან, ფედერაციის მაგარი ძაფებით, რომელიც კიდევ უფრო გამაგრებულ-გაძლიერებულია კომუნისტური პარტიის ერთობით-». ბრძანებს ბ-ნი კაპიტანი. ეს დებულება უფრო ახლოს არის სიმართლე-სინამდვილესთან, მაგრამ მეტად მკრთალია და სუსტი ეს გამოთქმა. უფრო მართალი და მაგარი იქნებოდა, რომ გაებედა და ეთქვა: ეს ორი რესპუბლიკა საქართველოსი და რუსეთის, ერთი მეორეზედ გადაბმულნი არიან წითელი მაგარი ჯაჭვით, რომლის ერთი თავის მარყუჟი ქართველი კომუნისტების ცოდვილის ხელით, საქართველოს კისერზედ არის გადაცმული, მეორე თავი კი მოსკოვს უჭირავს რკინის ხელში და მიათრევს სულთქმაშეკრულ ქართველ ერს რუსეთის და მსოფლიო კომუნიზმის უძირო სისხლის ზღვაში. მაგრრმ ამოდენა გაგება ან გამბედაობა, ალბად, არ მოეთხოვება ბ-ნ კაპიტანს.

«შეუძლებელია ითქვას, რომ საქართველოში ადგილი ქონდეს რუსეთის იმპერიალიზმსა და კოლონიალიზმს. ის ფაქტი, რომ ქართველი ჯუღაშვილი-სტალინი შეუბრალებელი

მეთაური და შეფი იყო რუსეთის საბჭოთა კავშირის, ყოველ ასეთ ბრალდებას აბათილებს»-ო. ბრძანებს ბ-ნი კაპიტანი.

ვიმეორებ, ის რომ საქართველო-რუსეთის ეკონომიურს და პოლიტიკურ-ადმინისტრატიულ ურთიერთობას გაცხოლოდა, ცენტრალურ ეკონომიური საბჭოს მიერ მოსკოვში შედგენილი სასოფლო-მეურნეობისა და მძიმე თუ მჩატე ინდუსტრიის გეგმებს, რომელიც სავალდებულოა ს. ს. რ. კავშირში მომწყვდეულ ყველა რესპუბლიკათათვის, დაინახავდა და დარწმუნდებოდა რომ დიდი რუსეთი არის მეტროპოლია. და დანარჩენი მის მიერ დაპყრობილი ერები და ხალხები კოლონიები, რომელთა სასოფლო-სამეურნეო და მჩატე თუ მძიმე ინდუსტრიის დარგები, სწორედ კლასიკური-კოლონიალური სისტემის მავთულებით არის დაკავშირებული დიდი რუსეთის მეტროპოლიასთან. ამ საკითხზე ჩვენ საკმაოდ გვიწერია, და შორს წაგვიყვანდა გრძელი სტატისტიკური ციფრების მოყვანა. დავკმაყოფილდებით მხოლოდ მის მიერ დაწერილის ნიმუშად მოყვანით: «საქართველოს სასოფლო მეურნეობის კოლხოზები განსაკუთრებით (ხაზი ჩვენია) ჩაის, მებაღე-მებოსტნეობისა და შელვინეობის დარგში. მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. ისინი არიან მთელი რუსეთის ბაზარზე, უმთავრესი მიმწოდებლები»-ო. წააგავს თუ არა ეს საფრანგეთის ყოფილი კოლონიების ალჟირ-მაროკო და სხვათა ყოფილ მდგომარეობას და მათ ურთიერთობას მეტროპოლიასთან? «ის ფაქტი, რომ ქართველი ჯუღაშვილი შეუბრალებელი მეთაური იყო რუსეთის საბჭოთა კავშირისა, ყოველ ბრალდებას აბათილებს»-ო. ბრძანებს ბ ნი კაპიტანი.

სამწუხაროთ მართალია, რომ სტალინი ქართული წარმოშობისა და მოდგმის იყო. მან თავის სამშობლოსა და ერს ულალატა და მის პარტიულ ამხანაგებთან ერთად საქართველო რუსეთს დააპყრობინა. ველიკორუსეთს რომანოვების იმპერია აღუდგინა და გაუდიდა. მის მშობელ ერს სხვებზე მეტი ზიანი მიაყენა. აქამდე მიიყვანა ის ბოლშევიკურ-ინტერნაციონალურმა იდეებმა. «არ არის ოჯახი უმახინჯო»-ო, ნათქვამია. განა ამით შეიძლება გამართლება საბჭოთა რუსეთის მეთაურობის, საქართველოსა და ქართველი ერის მიმართ? მათ რომ ადამიანური მადლობის გრძნობა ჰქონდეთ, საქართველოს ნამდვილ და რეალურ ავტონომიას მაინც მისცემდენ.

განა კორსიკელმა ნაპოლეონ ბონაპარტმა არ შეუქმნა საფრანგეთს უძლიერესი იმპერია? მისი ნეშთი პარიზის ცენტრში ენვალიდშია დასვენებული. და მის მშობელ მხარესაც პატივისცემით ეკცევიან და კოლონიად არ გადაუქცევიათ.

რუსებმა კი სტალინის სამშობლო კოლონიად გადააქცია და სტალინის ცხედარიც ამოაგდო და კრემლიდან გააძევა.

ე. პატარიძე.

საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა

(დაპყრობიდან ეროვანდლამდის)

(გაგრძელება)

საქართველოს დაპყრობამ მსოფლიოში ყოველ კუთხეში დიდი გამოძახილი ჰპოვა. კრემლის ვერაგულ საქციელს გმობდა მთავრობები, პარლამენტები, მუნიციპალიტეტები, საერთაშორისო ორგანიზაციები: ერთა ლიგა, ერთა ლიგის დამხმარე საზოგადოებანი, მეორე ინტერნაციონალი და სხვ., სოციალისტური პარტიები, გავლენიანი პოლიტიკური მოღვაწენი. დიდ ტანიანი გაზეთები აღფრთოვანებულ სტატიებს უძღვნიდენ და თანაგრძნობას უცხადებდენ და მორალურად ამხნევებდენ ქართველ ერს. ყველანი ერთხმად მოითხოვდენ ბოლშევიკების მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედების გამოსწორებას, საოკუპაციო ჯარების საქართველოდან გაყვანას და ერის დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის აღდგენას. საპროტესტო რეზოლუციები ეგზავნებოდა მოსკოვის მთავრობას, სადაც მის მზაკვრულ თავდასხმას და ძალადობას სამარცხვინო ბოძზე აკრავდენ.

ამის საპასუხოდ, მოსკოვის ინსპირაციით, საქართველოს საბჭოების პირველმა ყრილობამ თხოვნით მიმართა რუსეთის საბჭოთა მთავრობას არ გაეყვანა საქართველოდან საოკუპაციო ჯარები. ან ვის გაყავდა? ამ უცხო ძალების დაუხმარებლად ადგილობრივი ხელისუფლება ერთ დღესაც ვერ გასძლებდა.

რეპრესიების მიზნით, პოლიტიკური პარტიების დასათურგნავად, საქართველოს დაპყრობისთანავე (1921 წ. თებერვლის ბოლოს) დაარსდა კონტრ-რევოლუციასთან, საბოტაჟთან და სპეკულაციასთან საბრძოლველი საგანგებო კომისია—«ჩეკა» (ეს იყო პირველი იმპორტი, პურის მაგიერად, რომელიც ქართველმა ბოლშევიკებმა საქართველოში შემოიტანეს). მეორე ნაბიჯი, რომელიც გადადგა საოკუპაციო მთავრობამ, იყო, ქართული ჯარის და სახალხო გვარდიის დემობილიზაცია. ცოტა ხნის შემდეგ სრულებით დაშლილად გამოცხადება. დაშალეს, აგრეთვე, საქართველოს «ბურჟუაზიული» დამფუძნებელი კრება. პოლიტიკური პარტიები გაუქმებულად გამოაცხადეს. თავისუფალი პრესა აიკრძალა. ძველი სამინისტროები გადაკეთდა ახალ მმართველობის ორგანოებად, ჩამოყალიბდა, მზგავსად რუსული ბოლშევიკური ყაიდის—სახალხო კომისარიატები და რევოლუციონური კომიტეტები.

1921 წ. (6 აპრილის დეკრეტით) მიწაზე კერძო საკუთრება მოისპო. მიწები სახელმწიფოს ფონდში გადაირიცხა და დროებით უსასყიდლოდ გლეხებს გადაეცა. ნატურალური გადა-

სახადის დაწესებით. ამავე წლის ივლისში მოხდა მრეწველობის ნაციონალიზაცია. არსებულ სოციალურ და შრომის კანონებს მეტი არაფერი მიმატებია, რადგან 8 საათის სამუშაო დღე უკვე არსებობდა. არსებობდა აგრეთვე შრომის დაცვის ინსპექცია და სხ.

ასევე, საქართველოს დაპყრობას დაემთხვა რუსეთში ახალი ეკონომიური პოლიტიკის (ნეპის) გატარება (1921 წ. ივლისი-აგვისტო). ახალი ეკონომიური პოლიტიკით დაშვებული იქნა თავისუფალი ვაჭრობა. საბჭოთა რუსეთში და უკრაინაში სიმშილი მძინვარებდა. ადგილი ჰქონდა გლეხების ამბოხებას და რომ ეკონომიური კრიზისი დაძლეული ყოფილიყო, ხელისუფლება იძულებული იყო დათმობაზე წასულიყო, როგორც უცხოეთის, ისე შინაურ კაპიტალისტებთან: საჭირო დარჩა წვრილ კაპიტალისტურ საწარმოებთა გახსნა, არა უმეტეს 20 მუშის რაოდენობით, აგრეთვე მიწის იჯარის და დაქირავებული მუშახელის გამოყენება კერძო მესაკუთრეთა მიერ. ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველზე კერძო კაპიტალისტური გაერთიანების ხელში დასტოვეს. წვრილი საწარმოები იჯარით გადასცეს კოოპერატივებს და კერძო პირებს. ეს იყო დროებით კაპიტალიზმისაკენ დაბრუნება, რომ თავიდან აეცილებიათ მუშების და გლეხების მასიური ამბოხებანი და კონტრრევოლუციონური გამოსვლები.

საქართველოს დაპყრობის წლის თავზე (1922 წ. თებერვალი) საბჭოთა ყრილობამ მიიღო საბჭოთა საქართველოს პირველი კონსტიტუცია, უფრო სწორად, ყრილობას დიდი დრო არ დაუხარჯავს კონსტიტუციის გამოსამუშავებლად, ის რუსეთის საბჭოთა კონსტიტუციის ზუსტ თარგმანს წარმოადგენდა, სულ უმნიშვნელო ცვლილების შეტანით. ქართველ მუშებს და გლეხებს უამრავი, ფიქტიური უფლებები ჰქონდა მინიჭებული, სინამდვილეში, რეალურად სრულებით არაფერი, ისეთი, რომელიც უზრუნველყოფდა მათ ნორმალურ ცხოვრებას. მაგალითად, შრომის უფლება ყველას ჰქონდა, მხოლოდ სამუშაო არსად იყო. ვინც სამუშაოს შოულობდა, ისიც ძალიან მცირე ხელფასს ღებულობდა, თავის ოჯახის რჩენა ამ ხელფასით ძნელი იყო. მკურნალობაც და წამლობაც უფასო იყო, მხოლოდ წამალი არსად იშოვებოდა. მუშას ფორმალურად ყველაფრის უფლება ჰქონდა, ხოლო დუხჭირ ცხოვრებაზე უკმაყოფილების გამოთქმა სასტიკად აკრძალული იყო. ინდივიდუალურ თავისუფლებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. შრომის პირობები, პირდაპირ ჯოჯოხეთს წარმოადგენდა. რაიმე პროტესტის გამოცხადება დაპატიმრებით და გადასახლებით ისჯებოდა. მოკლედ, კონსტიტუცია მშრალი, ფორმალური ხასიათის იყო, ქვეყანა უფლებათა მიხედვით კი არ იმართებოდა, არამედ პოლიციურ იძულე-

ბით წესებით. ყველანი განუკითხავად, უსამართლოდ ისჯებოდენ «ჩეკის» მიერ, ხშირად სასიკვდილო განაჩენითაც.

პირველი კონსტიტუციის მიხედვით, საქართველო დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკაა, ის ჯერ კიდევ არ შედის საბჭოთა რუსეთის ფარგლებში, ფაქტიურად, ის ყოველმხრივ მოსკოვის ცენტრზეა დაქვემდებარებული და ადგილობრივი ხელისუფლება ყოველივე მის ბრძანებას უსიტყვოდ ასრულებს. ხოლო კრემლი თავდარიგს იჭერს და შეუფერხებლად, ახლო მომავლისთვის ამიერ-კავკასიური ერების ფედერაციის შექმნის ნიადაგს ამზადებს, რომ შემდეგ, ამიერ-კავკასიის ფედერაცია დაუყოვნებლივ შესულიყო საბჭოთა რუსეთის კავშირში, ან როგორც ლენინ-სტალინი ფიქრობდენ, შეერთებოდა-შერწყმოდა დიდ რუსეთის სოციალისტურ რესპუბლიკას.

რით ასაბუთებდენ ამიერ-კავკასიის ფედერაციის საბჭოთა რუსეთის კავშირში შესვლის აუცილებელ საჭიროებას? რა მოტივით იყო გამოწვეული ეს გაერთიანება? თუ მათ დაუჯერებთ. ვითომც ამ ერებს—ადერბაიჯანს, სომხეთს და საქართველოს, არ შეეძლოთ საკუთარის სახსრებით, საკუთარის რესურსებით დანგრეული მეურნეობა აღედგინათ. არ შეეძლოთ არც საგარეო საშიშროების უზრუნველყოფა. ცალ-ცალკე სეპარატულ არსებობის პირობებში, ეს ყოველად შეუძლებელი იყო.

ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნის მოტივებს, ჩვენ ქვემოდ უფრო დაწვრილებით შევეხებით, ახლა, აქ მოკლედ აღვნიშნავთ. კონსტიტუციით, თუ როგორი იყო ქართველი ერის—«მრავალ ეროვნებათა ერის»,—სტრუქტურა, ან რა ფიქტიური იურიდიული სტატუტით სარგებლობდა საქართველოში ეთნიურ უმცირესობათა შემადგენლობა? როგორც ცნობილია, მოსკოვის ზეგავლენით, დაძალებით, განხრახული იყო შეექმნათ: აფხაზეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკა, საქართველოს ფარგლებს გარედ. ასევე—აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და ოსეთის ავტონომიური ოლქი. ყველა ეს ავტონომიური რესპუბლიკები, ისე როგორც საქართველოს რესპუბლიკა ნომინალურად იქნებოდა—დამოუკიდებელი და ავტონომიური. ხოლო სინამდვილეში უფლება აყრილი და მათი ბედ-იღბლის გამგე, მათი სიმდიდრის, მთავარი რესურსების განმკარგულებელი, მიმთვისებელი, რაღა თქმა უნდა, მოსკოვი იქნებოდა.

საერთოდ, ქართველ კომუნისტების და განსაკუთრებით ნაციონალ-უკლონისტების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი შეუპოვრად წინააღუდგენ, როგორც ამიერ-კავკასიის, ისე საქართველოში ავტონომიურ ერთეულების შექმნას, ხოლო ლელო ვერ გაიტანეს და დამარცხდენ.

ერთხანად, ცენტრს და საქართველოს კომუნისტურ პარ-

ტიის შორის დამოკიდებულება ისე გამწვავდა, რომ ლენინი იძულებული იყო სტალინი თბილისში გამოეგზავნა საქმეების მოსაგვარებლად, ე. ი. ურჩი ოპოზიციის ყოველგვარი საშუალების გამოყენებით დაძლევა-დასახშობათ. სტალინმა ეს დავალება ბრწყინვალედ შეასრულა: მან, თავისებური უხეშობით, უცერემონიოდ დაარბია და დაშალა საქართველოს ცენტრალური კომიტეტი და მისი პოლიტიკური ბიურო, ძველი მებრძოლი კომუნისტები პარტიის ხელმძღვანელობიდან და ხელისუფლების პოსტიდან მოხსნა და მათ მაგიერ სრულებით უსახელო და უცნობი პირებისაგან შექმნა პარტიის ახალი მეთაურობა, ჩეკისტებისა და კარიერისტებისაგან. ოპოზიციის უდიდესი გადევნით და დატუქსვით, სტალინმა საქართველოს კომუნისტურ პარტიას თავზე მოახვია მოსკოვის ერთგული, მორჩილი, უსულო და უგულო, ზედმოქმედების მძიმე აპარატი. ამ სიმძიმის ქვეშ, მართალია, ქართველი კომუნისტები მოიხარა და მოიღუნა, მხოლოდ არა ლაჩრულად და არა გაუბრძოლებლად.

ამიერიდან, მოსკოვისათვის ძნელი აღარ იყო, საქართველო ისე ემართა, როგორც ეს შეეფერებოდა საბჭოთა რუსეთის იმპერიალისტურ და კოლონიურ ინტერესებს. მაშასადამე, ოპოზიციის განადგურების შემდეგ, მოსკოვის ბრძანებით, ქართველი ერის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ და საზიანოდაც, შეუდგენ ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნის მზადებას, აგრეთვე, შიგნით, საქართველოში ავტონომიურ ერთეულების ტერიტორიალურ გამიჯვნას. 1921 წ. (ივნისის) დადგენილებით, რაც შემდეგ კონსტიტუციაშიც იქმნა შეტანილი, აჭარას მიენიჭა ავტონომიური უფლებები, რაც თურმე (როგორც შემდეგ გამოირკვა) გათვალისწინებული იყო თურქეთ-საბჭოთა რუსეთის საიდუმლო ხელშეკრულებით. ამ ხელშეკრულების ძალით თურქეთმა უფლება მოიპოვა ბათუმში საკონსულოს დაარსების და წარმომადგენელი ყოლოდა აჭარის ავტონომიურ მთავრობასთან. მაშინ, სხვადასხვა მიზეზების გამო, საკონსულოს დაარსება არ მოხერხდა დიდი ხნის განმავლობაში, ხოლო გასულ წელს (1963 წ.), თურქეთს ბათუმში საკონსულოს დაარსების ნება დართეს. ალბათ თურქებმაც ამის სანაცვლოდ სამაგიერო მიუზღეს.

ამავე დროს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი შეიქნა. ოსეთის ფარგლებში მოაქციეს თითქმის ნახევარი ქართლი. პირველ ხანებში ცდა იყო სამხრეთ ოსეთი ჩრდილოეთ ოსეთისათვის შეეერთებინათ. მოსკოვის ეს ცდა სამარცხვინოდ ჩაიშალა ქართველი კომუნისტების გაბედული წინააღმდეგობის გაწევით და ქართველი ეროვნული წრეების ენერგიული და ალმფოთებული პროტესტის გამო.

კიდევ, გაცილებით უფრო დიდი დანაშაული იქნა ჩადენილი საქართველოს მიმართ, რაც უდაოდ ღალატს უდრიდა:

აფხაზეთი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადეს (1921 წ.), და ამით საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობა დაარღვიეს, შექმნეს პრეცედენტი აფხაზეთში სეპარატისტული მოძრაობის.

აფხაზეთი, მუდამ საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. თუმცა, ისტორიულად ყოველთვის ცალკე სამთავროს წარმოადგენდა. მაგრამ პოლიტიკურ-კულტურულ მჭიდრო ურთიერთობაში იმყოფებოდა საქართველოსთან, მთელი საუკუნოების განმავლობაში, როგორც ერთ-ერთი ქართველი ტომი. ჯერ ძველი მონარქიული რუსეთი შეეცადა მისი საქართველოდან ჩამოშორებას, მაგრამ ამაოდ, რადგან ის წააწყდა ქართველი ერის ერთსულოვან წინააღმდეგობას, ხოლო, მაინც შესძლეს იქ ჩამოესახლებიათ რუსების, სომხების, ბერძნების და სხ. კოლონისტები, რომ შეეცვალათ მისი ეთნიური შემადგენლობა და ამით დაესუსტებიათ ქართველი ერის პოზიციები, სადაოდ გაეხადათ საქართველოს ეს ულამაზესი და უმდიდრესი პროვინცია.

პირველ ხანებში, აფხაზ-კომუნისტებს აიძულებდენ, რათა აფხაზეთი საბჭოთა რუსეთის ფარგლებში შესულიყო, როგორც ცალკე მოკავშირე რესპუბლიკა; აქაც მათ მხრივ (აფხაზ-კომუნისტების მხრივ) საბჭოთა ხელისუფლება კიდევ უფრო მეტ წინააღმდეგობას წააწყდა და მრავალი დაბრკოლების შემდეგ, თვით კომუნისტურმა პარტიამ (ამიერ-კავკასიის ბიურომ—1931 წ.) და აფხაზეთის ქართველმა მოსახლეობამ მიზან-შეუწონლად აღიარეს მისი საქართველოდან ჩამოშორება და სათანადო ხელშეკრულობით აფხაზეთი საქართველოს ტერიტორიალურ შემადგენლობაში დაბრუნდა, ამ ქამად არა როგორც დამოუკიდებელი—არამედ როგორც ავტონომიური რესპუბლიკა, რაც ბუნებრივი და აუცილებელი იყო.

სწორედ, ამავე ხანებში, დაპყრობისთანავე, მოსკოვის ზეგავლენით—დაძალებით, მოხდა საქართველოს სახელმწიფოებრივ ტერიტორიის ჩამოჭრა და სხვებზე გასაჩუქრება. ყარსის ხელშეკრულებით თურქეთს გადასცეს ართვინის, არტანუჯის, არტაანის და ახალციხის მაზრის მოზრდილი ნაწილი. ადერბაიჯანს მიაკუთვნეს ზაქათალის ოლქი (საინგილოს დიდი ნაწილი), სომხეთს,—ლორის, ბამბაკის და ალავერდის უბნები. დაუთმეს.

ქართველი ერის მიწა-წყლის განსხვისებამ, ქართველ საზოგადოებაში დიდი აღშფოთება გამოიწვია და საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებას პროტესტით მიმართეს ნაციონალურად განწყობილ ქართველ კომუნისტებზე (ნაციონალ-უკლონისტებზე), ეს უკმაყოფილება და საჯაროდ გამოთქმული პროტესტი თავის გავლენას ახდენდა, ამით გამხნევებულნი, ისინიც საბჭოთა და პარტიულ ყრილობებზე, ხშირად ოპოზიციონურ გამოსვლებს აწყობდენ, მაგრამ უშედეგოდ, რადგან მა-

თი ბრძოლა უკვე დაგვიანებული იყო, მოსკოვის ისტორიის ბორბალი მათ წინააღმდეგ მძიმედ ტრიალებდა და ისინიც ამ ბორბლის ხრახნილში შეუბრალებლად იჭყლიტებოდენ.

შემდეგ წერილებში, ჩვენ შევეხებით, თუ როგორ შეიქმნა და დაიშალა ამიერ-კავკასიის ერების ფედერაცია და როგორ გახდენ ისინი საბჭოთა რუსეთის მოკავშირე რესპუბლიკები, თუ როგორ შესრულდა ლენინ-სტალინის წადილი—ერთა შერწყმისა, ვითომც დიდ საბჭოთა რესპუბლიკასთან—რუსეთთან, «ნებაყოფლობით შეერთებისა», როგორც «თანასწორ-უფლებიან» ერებისა. ჩვენ აგრეთვე განვიხილავთ 1936 წ., სტალინის ეპოქის, მსოფლიოში «ყველაზე უფრო დემოკრატიულ» კონსტიტუციას, რომლითაც საბოლოოდ განმტკიცდა მსოფლიოში ყველაზე უფრო თვითმყრობელური, ტოტალისტური საბჭოთა უზარმაზარი სახელმწიფო, რომელიც მეორე მსოფლიო ომმა, არამც თუ შეარყია არამედ მისი ძლიერება ტერიტორიალურად განავრცო და თვალმიუწვდენელ საბჭოთა იმპერიად აქცია, სტალინის ერთპიროვნული, განუსაზღვრელი, დიქტატორული და აბსოლუტური უფლებებით ძლევამოსილი.

ს. ჭირაქაძე.

აგვისტოს აჯანყება

(მ. ქავთარაძის მიერ წლისთავზე წარმოთქმული სიტყვა)

ხალხის სურვილის გამოხატვას მრავალი სახე და ფორმა აქვს. ჩვენ ვიცნობთ: არჩევნებს, რეფერენდუმს, პლებისციტს, გაფიცვებს, საბოტაჟს, ტერორს და სხვა. ყოველ ამ მოქმედებათაგანს შეიძლება ადგილი ჰქონდეს, შეიძლება ამან ფართო ხასიათიც კი მიიღოს და ამავე დროს შესაძლებელია, ეს მოქმედება, ერის არა თუ უმრავლესობის, არამედ საგრძნობი უმცირესობის სურვილსაც არ გამოხატავდეს. მაგრამ ყოველად შეუძლებელია რომ მასიურ-ხალხური აჯანყება მოეწყოს თუ ამის გამომწვევი მიზეზები ხალხშივე არ არსებობს და თუ აჯანყების მოხდენა ხალხის დიდი უმრავლესობის სურვილს არ შეადგენს,—განსაკუთრებით დაპყრობილ ქვეყანაში და ისიც პოლიციურ რეჟიმის და მმართველ პარტიის დიქტატურის პირობებში, როდესაც ოპოზიციისათვის ბეჭდვითი თუ სიტყვიერი პროპაგანდა არათუ აკრძალულია, არამედ თვით ოპოზიციის არსებობაც არ არის კანონის მიერ დაშვებული.

ხოლო ცნობილია რომ სწორედ ამგვარ პირობებში მოხდა აგვისტოს აჯანყება და მას სწორედ მასსიურ-ხალხური ხასიათი ჰქონდა.

1924 წელს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ეკონომიური მდგო-

მარეობა, ცხადია, დამაკმაყოფილებელი არ იყო, მაგრამ დამოუკიდებლობის ხანასთან შედარებით, იგი ისე არ გაუარესებულა რომ ამას ხალხის სასოწარკვეთილება და აჯანყება გამოეწვია. არც ისეთი აუტანელი გაჭირვება იყო, რომ ძველი მდგომარეობის აღდგენისათვის ხალხს თავი გაეწირა.

ადმინისტრაციის მაშინდელი საქციელი, თუმცა სანაქებოთ ვერ ჩაითვლება მაგრამ მუშების და გლეხების მასიური ჩაგვრა-შევიწროებას ადგილი არა ჰქონია. კოლექტივიზაცია ჯერ დაწყებული არ იყო, არც სტახანოვობა, შრომის ნორმები, და სამუშაო ადგილზე მიმაგრება არსებობდა. ამავე დროს კომუნისტური პარტია ხალხს სამოთხის აშენებას ჰპირდებოდა, სადაც გლეხსა და მუშას უნდა ებატონა. და თუ მხედველობაში მივიღებთ კომუნისტების მიერ შემოღებულ, მეცნიერულ მეთოდით ნაწარმოებს, აქამდე მსოფლიო ისტორიაში უხილავ მასსიურ პროპაგანდას, შეიძლება ითქვას, რომ მაშინ, ხალხისათვის, ყველა ამ დაპირებათა არ დაჯერების საბუთი არც არსებობდა.

მაშ ასეთ პირობებში რისთვის აუჯანყდენ გლეხები და მუშები თავიანთ «გლეხურ-მუშურ» ხელისუფლებას?

ცხადია აქ უნდა მოვძებნოთ ისეთი რამ, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ ხალხს წაართვა და რის დაბრუნებასაც ეს ხელისუფლება ალარ აპირებდა. ასეთი რამ ეროვნული თავისუფლება და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა იყო. და სწორედ ეროვნული თავისუფლების აღდგენა იყო აჯანყებულთა ლოზუნგი, რადგან ეროვნული თავისუფლების დაკარგვამ გამოიწვია მასსიური გამოფხიზლება ხალხისა. დიდმა დაპატარამ იგრძნო ეროვნულ ჩაგვრით გამოწვეული ტკივილი და ქართულ კომუნისტურ მთავრობის. მოსკოვის მორჩილებაში ყოფნამ წარმოშვა გრძნობა ეროვნული ღირსების შეურაცყოფისა.

სრულიად გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას: თუ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება მაშინდელ ქართულ პოლიტიკურ ხელმძღვანელობის მიერ შესრულებული აქტია, აგვისტოს აჯანყება, ამავე აქტის უზენაესი რატიფიკაციაა, რადგან იგი თავდადებულ ათასთა მიერ დაღვრილი სისხლით არის ხელმოწერილი.

შორს, ძალიან შორს უნდა დავიხიოთ ქართულ ისტორიაში, რომ აგვისტოს განზომილების მოვლენას მივაგნოთ. კოტის თავის შეთქმულების შემდეგ ამდენად სრულიად საქართველოს მაშტაბით მომხდარი აქტი ჩვენს ისტორიას არ ახსოვს.

ყოველი აჯანყება რა თქმა უნდა გამარჯვების იმედით ხდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოველი დამარცხებული აჯანყება ფუჭად ჩავლილი ცდა არის.

აგვისტოს აჯანყების ხაზგასმით ეროვნული მოტივი და

მისი მასსიური ხალხური ხასიათი უდიდესი აქტია რომლის ბადალი ჩვენს ისტორიაში ძნელად თუ მოიპოვება.

იგი უტყუარი საბუთია ჩვენი ეროვნული სიმწიფისა თანამედროვე გაგებით და ჩვენი ხალხის ფართო მასაში ეროვნული შეგნების გამეფებისა, რაც მომავალ ქართულ პოლიტიკურ პელმძღვანელობისათვის უყოყმანო სავალი გზის მაჩვენებელია.

ჩვენ ამ მოვლენათა უშუალო მოწმეთ და ზოგჯერ მონაწილეთ რასაკვირველია არ შეგვიძლია საკმაოდ დაშორებულ მანძილიდან შევხედოთ მას. და რაოდენ დიდათაც არ უნდა მივიჩნიოთ იგი, მის ნამდვილ სიდიდეს ჩვენ ვერ გავზომავთ. ეს მომავლის საქმეა. ხოლო ჩვენი მოვალეობა ის არის რომ ღირსეულად და ერთგული მხნეობით ვიბრძოლოთ იმ მიზნისათვის, რომელსაც ათასობით დაღუპული აგვისტოელი შეეწირა და სიკვდილამდე ურყევად ვემსახუროთ უკეთილშობილეს საქმეს, რომელსაც კი შეიძლება კაცი ემსახუროს— საქმეს რომელსაც მშობელი ერის თავისუფლებისათვის ბრძოლა ეწოდება.

შეიძლება დღეს მიუღწევლად მოჩანდეს ჩვენი მიზანი. იქნებ განუზომელი იყოს ჩვენსა და ჩვენს მტერს შორის არსებული ძალთა სხვაობა. მაგრამ, ჯერ ერთი, საერთოდ გზის სიძნელისა გამო გზიდან გადახვევა იქეთ წასვლას ნიშნავს საითაც არ უნდა წავსულიყავით, ჩვენს შემთხვევაში კი, დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ძიებისათვის თავის დახებება ეროვნული სახის დაკარგვას, უფრო კონკრეტიულად რომ ვსთქვათ, ჩვენს გარუსებასა ნიშნავს.

ქართველმა ხალხმა თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზედ ზღვა სისხლი სწორედ იმიტომ დაღვარა, რომ ეროვნული სახე არ დაეკარგა და უცხოთა მასაში არ გათქვეფილიყო. ამიტომ წარმოვადგენთ ჩვენ ეთნოგრაფიულად, შედარებით პირველ სახით დღემდე მოღწეულ თითქმის ერთად ერთს ერს, რომელიც კაცობრიობის იმ უძველეს და უნიჭიერეს ჯიშს ეკუთვნის, რომელმაც დღემდე უძველესად და უპირველესად ცნობილი მცირე აზია-ხმელეთა შუა ზღვის ცივილიზაცია შეაქმნა, რომელმაც საერთოდ ისტორია დაიწყო.

ბუნების კანონია: ცოცხალმა არსებამ თავის თავს არ უნდა უღალატოს. არც ჩვენ შეგვიძლია სხვაგვარად მოვიქცეთ.

ჩვენი ისტორიიდან ჩვენ მრავალ შემთხვევას ვიცნობთ, როდესაც ერთი შეხედვით ყოვლად უიმედო მდგომარეობას, ქართველთა გამძლეობა და წინააღმდეგობა ვერ გაუტეხია და ჩვენს ქვეყანას დაკარგული თავისუფლება კვლავ მოუპოვებია.

სწორედ ამ დღეებში ქართული ეკლესია იგონებს ორ ქართველ მამულიშვილს, რომელნიც არაბთა ბატონობას წინააღუდგნენ და ამისათვის მოწამებრივი სიკვდილით დაისაჯ-

ნენ. ესენი იყვნენ დავით და კონსტანტინე. რამდენად უიმედოთ უნდა გამოჩენილიყო მაშინ ამ ორი ძმის ბრძოლა იმ არაბთა მფლობელობის წინააღმდეგ, რომელთაც მაშინდელ მსოფლიოში, არა მარტო სამხედრო სარბიელზე, არამედ კულტურულ სფეროშიც მეტოქე არ გააჩნდა. და რომელთა ზღვად ქცეულ მსოფლიო იმპერიაში საქართველო იყო ჩაძირული. მაგრამ სწორედ არაბთა ბატონობიდან თავის დაღწევას მოჰყვა დავით აღმაშენებლის და თამარის ეპოქა. თორმეტმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ და წმიდათა შორის ჩარიცხულ დავით და კონსტანტინეს ნეშთს ქართველი ხალხი 12 საუკუნის განმავლობაში თაყვანსა სცემდა.

თანამედროვე დავითები და კონსტანტინეები არიან აგვისტოს გმირები და თუ ორი კაცის ხსოვნა ჩვენმა ერმა 12 საუკუნე შეინახა, გაზომეთ რაოდენი ვალი გვადევს რამდენიმე ათას დაღუპულ კაცისა.

აი ის წარსული და თანამედროვე მაგალითები, რომელთაც უნდა გაგვამაგრონ სულიერად და მოგვანიჭონ რწმენა ჩვენი საქმის სიმართლისა. რა საცოდავად გამოიყურება ყოველივე ამის გვერდით, ისტორიკოსთა და ჟურნალისტთა ქურქში გახვეულ მტრის სამსახურში მყოფ პოლიციელთა ცდები ჩვენი წმიდა საქმის გასაშავებლად. მათი საქციელი ზიზღნარევ სიბრალულის გამომწვევია ოდენ.

ქართული ემიგრაცია რომელმაც ნახევარი საუკუნის განმავლობაში ამაყად და ღირსეულად ატარა ერის თავისუფლებისათვის მებრძოლთა სახელი, კვლავ ამაყად და თავდადებულად იბრძოლებს ჩვენი ქვეყნის შელახულ უფლებათა აღდგენისათვის და ყოველგან სადაც კი ხმა მიუწვდება, იტყვის და მოითხოვს იმას რასაც დატყვევებული და სიტყვა წართმეული ქართველი ერი თვით ვერ ამბობს და ვერ მოითხოვს.

დღეს კი ქართველ ათასეულ მოწამეთა მოგონების ქამს. საბოლოო გამარჯვების ურყევი რწმენით შევძახოთ მათ სულებს:

დიდება თქვენს ხსოვნას, გამარჯვება თქვენს საქმეს.

ნინაფება პარიზში.

6 თებერვალს შვედთა სამწყსოს დარბაზში გაიმართა, ქართული ეკლესიის, უკვე ტრადიციულად ქცეული, დღე. დამსწრე საზოგადოებას თავისი შთაბეჭდილებები უამბო საქართველოში ახლახან ნამყოფმა არჩილ მიურატმა და ეკრანზე გაშუქებული მის მიერ გადაღებული ფოტოსურათებიც აჩვენა. რითაც მრავალრიცხოვანი მსმენელნი ფრიად ნასიამოვნები დარჩნენ.

რაჟდენ (მიშა) არსენიძე.

1965 წლის 24 მაისს, გარდაიცვალა დამოუკიდებელ საქართველოს იუსტიციის ყოფილი მინისტრი რაჟდენ არსენიძე. განსვენებულმა მთელი მისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე დიდი მუშაობა გასწია, როგორც პოლიტიკურ აგრეთვე კულტურულ სფეროში. უკანასკნელ წლებში იგი მიუნხენის რადიოს ქართული განყოფილების უფროსი იყო. გულის ავადმყოფობის გამო ამ საქმისათვის თავის დანებების შემდეგაც, სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე მას აქტიობა არ შეუწყვეტია.

დავით სხირტლაძე.

გასული წლის ნოემბერში, პარიზში გარდაიცვალა ეროვ.-დემოკ. პარტიის ძველი წევრი დავით სხირტლაძე. განსვენებული, ჩვენი ემიგრაციის პირველ წლებში ქართველთა სათ. ვისტომოს თავმჯდომარე იყო, მნიშვნელოვანი მოღვაწეობის გარდა, განსვენებულმა მთელი მისი მატერიალური ქონება ქართულ საზოგადოებას მოახმარა, და მისი სიცოცხლის ბოლო წლებში ნივთიერ გაჭირვებაში გაატარა. რადგან დახმარების მიღება ეთაკილებოდა. იგი ღირსია რომ მას მადლიერებითა და კეთილი გრძნობებით მოვიგონებდეთ.

დიმიტრი უგრეხელიძე.

გასული წლის ენკენისთვეში, განუკურნებელი სენით შეპყრობილმა, დიმ. უგრეხელიძემ რევოლვერის ტყვიით თავი მოიკლა. განსვენებული იყო წევრი ეროვ.-დემოკ. პარტიისა და საქართველოში ხელმძღვანელი ქობულეთის საპროპაგანდო ბიუროსი.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინახანებში ჩაირიცხა პარტიის ახალგაზრდათა რაზმში, რომელიც ქართული ლაშქარის სახელწოდებით ორიოდე თვის განმავლობაში ებრძოდა საქართველოსაკენ ადერბაიჯანიდან მომავალ ბოლშევიკურ ბანდებს.

საზღვარგარეთ გადმოვიდა 1927 წელს. უკანასკნელი დიდი ომის დროს დიმიტრი მოხალისეთ ჩაეწერა გერმანიის ჯართან შექმნილ ქართულ ლეგიონში, მაგრამ ავადმყოფობისა გამო რამოდენიმე თვის შემდეგ პარიზში დააბრუნეს.

ვლადიმირ (ვალოდია) ცხომელიძე.

მიუნხენში გარდაიცვალა ვალოდია ცხომელიძე, შვილი, თბილისში ცნობილ, ექიმ ცხომელიძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალიკო ახვლედიანი.

1965 წ. 11 ნოემბერს, ს. ლევილში თავის საკუთარ სახლში გარდაიცვალა ვალიკო ახვლედიანი. განსვენებული კარგა ხანია განუკურნებელ სენით იყო დაავადებული რასაც იგი არაჩვეულებრივი მხნეობით იტანდა.

მანია ქუთათელაძე სიამაშვილისა.

1966 წ. იანვარში გარდაიცვალა მანია ქუთათელაძე სიამაშვილისა. განსვენებული, მარტოხელი, ღრმად მოხუცებული და ნახევრად დაბრმავებული, სამშობლოში დაბრუნებას ცდილობდა, რომ იქ დამარხულიყო, მაგრამ მიუხედავად თვეების გენმავლობაში განმეორებულ ცდებისა, მას ამის საშუალება არ მისცეს.

იაკობ ფილიმონი.

1965 წ. ნოემბერში გარდაიცვალა იაკობ ფილიმონი. პარიზის ქართულ ეკლესიაში, აგვისტოს აჯანყების მსხვერპლთა მოსაგონარ წირვის შემდეგ, მოხუცმა ფილიმონმა ქართული დროშის ამბორი მოინდომა. ქვის საფეხურზე ფეხი დაუცდა და თეძოს თავი მოიტეხა. ეს იყო მისი გარდაცვალების მიზეზი.

შალვა აბდუშელიშვილი.

ამ უკანასკნელ დღეებში მოულოდნელად გარდაიცვალა. მრავალ წელთა განმავლობაში ქართულ სათვისტომოს გამგეობის თავმჯდომარედ ყოფილი, შალვა აბდუშელიშვილი. მის დაკრძალვაზე მრავალრიცხოვან ქართულ და ფრანგულ საზოგადოების დასწრებამ ცხადჰყო რამდენად აფასებდენ მის უაღრესად კეთილ ბუნებას და მის მიერ გაწეულ ღვაწლს. სიტყვები წარმოსთქვეს: სათვისტომოს თავმჯდომარემ ბ ნ ლ. ზურაბიშვილმა, სოც.-დემ. პარტიის სახელით ბ. ნ. ცინცაძემ და ბ. გ. წერეთელმა, ერ.-დემ. პარტიის სახელით ბ. მ. ქავთარაძემ.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და «იერიის» რედაქციის სახელით, ულრმესი მწუხარებით, თანაგრძნობას ვუცხადებთ მის მგლოვიარე ოჯახს.

გამოგზავნილება-რედაქციის მისამართი:

E. Pataridze
35, rue General Delestraint.
Paris (16)

ห้องสมุดกรมวิชาการ
กรมวิชาการ

ก-560